საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი N 10

ქ.თბილისი **07.08.2015**

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი კამკამიძე - შპს ნეოლაბის დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე, (შემდგომში- თავმჯდომარე);
ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი, (შემდგომში - მდივანი);
მაგდა მაღრაძე - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
ნიკოლოზ ალექსიძე - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მელიქაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების სამმართველოს კოორდინატორი
ქეთევან ინანაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ელენე ვეკუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

აკრედიტაციის ექსპერტები:
თამარ ვალიშვილი;
ნატო ალავიძე;
ფიქრია ვარდოსანიძე;
დარეჯან გარდავაძე;
ნინო ბალანჩივაძე;
ნანა შარაბიძე;
ნინო ღაღანიძე;
მანანა ხაჩიძე;
ნინო ელბაქიძე;
თორნიკე გურული;
გიორგი ღაღანიძე;
ზვიად როგავა;
ეკა ეკალაძე;
ლილი ხეჩუაშვილი;
ნინო დურგლიშვილი;
ტარიელ სიხარულიძე;
გიორგი გვალია;
ქეთევან ქოქრაშვილი;
ეკატერინე ბაღიშვილი;
ნინო ელბაქიძე;
მაია ბიწაძე;
გოდერძი ბუჩაშვილი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ეკა ეკალაძე;
დავით თოფურია.

სსიპ-საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ჯემალ ძაგანია;
მანანა მნათობიშვილი;
ლადო ბოჟაძე;
მამია ტუღუში;
ტრისტან გულობიანი;
გიორგი ფარულავა.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
დიანა მჭედლიშვილი;
ნიკა ფარჯანაძე;
ეკატერინე ბაკარაძე;

გოდერძი ბუჩაშვილი.

შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
მაია ხურცილავა;
ავთანდილ კიკნაძე;
ნანული ცხვედაძე;
გოჩა თუთბერიძე;
თეა ჯუღელი;
გიორგი ციცაგი.

შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
თამარ გვიანიშვილი;
მაია ამირგულაშვილი;
ზვიად როგავა.

შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ეკატერინე სუხიშვილი;
ივანე ბალახაძე;
ირაკლი დვალი.

ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ნოდარ პავლიაშვილი,
გიორგი ალიბეგაშვილი,
თეიმურაზ ბუაძე,
ლია კარიჭაშვილი;

ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
მეუფე სპირიდონი (გოჩა აბულაძე);
თემურ ტუნაძე.

სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი:
ნინო მოდებაძე;
შალვა ჭკადუა.

აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დაიწყო 12:30 საათზე. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მასწავლებელი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

7. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

8. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

9. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

10. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

11. შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

12. შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

13. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

14. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის თეოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

15. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

16. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

17. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მევენახე-მეღვინის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

18. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
19. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტყევის (ტყის მჭრელი, ტაქსატორი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საზოგადოებას, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ლევან მადათოვმა შუამდგომლობა წამოაყენა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5 საკითხი ჩანაცვლებულიყო მე-10 საკითხით.
საბჭოს თავმჯდომარემ - გიორგი კამკამიძემ აცილება განაცხადა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საკითხის განხილვაში მონაწილეობაზე, რადგან თავად იყო დასაქმებული უნივერსიტეტში, რაც ინტერესთა კონფლიქტის საფუძველია. აღნიშნული საკითხიც გადაიდო მე-5 საკითხად, საბჭოს წევრ - მაგდა მაღრაძის მოსვლამდე.

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მასწავლებელი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მასწავლებელი)
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0302
კრედიტების რაოდენობა:	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა - ნინო ელბაქიძემ. მისი აზრით ქვეყანაში სპორტის მასწავლებლის დეფიციტის გამო, მსგავსი პროგრამების განხორციელება აუცილებელი და მისასალმებელი იყო. განსახილველად წარმოდგენილი პროგრამა ეფუძნებებოდა სპორტის მასწავლებლის სტანდარტს. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „მანუალური თერაპია" ამოღება საგანმანათლებლო პროგრამიდან, ვინაიდან ამ სასწავლო კურსით შინაარსი და შედეგი სცილდება მასწავლებლის კომპეტენციებს და არ ემსახურება პროგრამის მიზნებს.

საბჭოს წევრი თამარ ზარანდია დაინტერესდა, რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

უნივერსიტეტის რექტორის აზრით, პროგრამაზე მიღება გამოცხადდება მომავალ სასწავლო წელს, ამასთანავე საჭიროა პროგრამის უფასოდ განხორციელება, ვინაიდან სპორტის მასწავლებლების 68% არაპროფესიონალი კადრი იყო, რომელთაგან 800 ასაკოვანი და უმაღლესი განათლების გარეშე მომუშავეებს წარმოადგენდნენ . დაწესებულება 150-200 სტუდენტის მიღებას გეგმავს, რისთვისაც ყველანაირი რესურსი აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა ვარაუდი, რომ სპორტსმენებს იწვევდნენ მასწავლებლებად. იგი დაინტერესდა, რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნია დაწესებულებას პროგრამის არსებობა ასეთ პირობებში.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ფიზიკურ აღზრდას თავის დანიშნულება აქვს და მასწავლებელმა უნდა იცოდეს ბავშვის ჯანსაღი აღზრდის პრონციპები.

ექსპერტის თქმით, ფიზიკური აღზრდა წარმოადგენდა უპირველეს საგანს და მასწავლებლის ფუნქცია ამჟამინდელი მდგომარეობისგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ბავშვების ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებში კომპეტენტური მასწავლებლის აღზრდა.

2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	ზოგადი განათლების ადმინისტრირება
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	განათლების მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	030108
კრედიტების რაოდენობა:	120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები მაია ბიწაძემ წარადგინა საბჭოს წინაშე:

- პროგრამაში კურსების სწავლების თანმიმდევრობის შემოწმებისას უნივერსიტეტს მიეცა გარკვეული რეკომენდაციები. კურსების სხვადასხვა სემესტრებში გადანაწილების შესახებ. მაგალითად, პირველ სემეტრში შეთავაზებული კურსები სასურველია ზოგად ჩარჩო/წარმოდგენას უქმნიდეს სტუდენტს სპეციალობაზე და პირდაპირ კავშირში იყოს სკოლის ადმინისტრირების ძირითად თემატიკასთან. მაგ. კურსი "სპეციალური საჭიროებების ბავშვების განათლება" სასურველია შეთავაზებული იქნას შემდგომ სემესტრებში და არა პირველივე სემესტრში. ასევე კურსი "პროექტის მართვა", რაც რასაკვირველია, მნიშვნელოვანი კურსია, მაგრამ შესაძლებელია მისი არჩევითის სტატუსით შეცვლა და სავალდებულოს სტატუსით ისეთი კურსის შეთავაზება, რომელიც პროგრამის კომპეტენციებისათვის ძირეულ კურსს წარმოადგენს, მაგალითად ლიდერობა ან ზოგადი განათლების ფინანსური საკითხები, ან განათლების პოლიტიკა.
- უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სილაბუსი, თუმცა წარმოდგენილი სილაბუსებიდან ორ მათგანში, კერძოდ, "განათლების მეცნიერებასა" და "ზოგადი განათლების პოლიტიკა და სოციოლოგია" კურსების შინაარსი იდენტური იყო, რაც სავარაუდოდ ამობეჭდვისას მექანიკურ შეცდომას წარმოადგენდა. უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს მაშინვე წარმოუდგინა ორი სხვადასხვა შინაარსის სილაბუსი. სილაბუსებში მოცემულ ზოგიერთ საკითხავ მასალასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს მიეცა რეკომენდაცია ჩაანაცვლოს ისინი უახლესი არსებული ვერსიებით (მაგ. მასწავლებლის სტანდარტი).
- სწავლის შედეგები სილაბუსებში კარგად არის წარმოდგენილი. თუმცა, ზოგიერთ სილაბუსში, მათი კომპონენტების მიხედვით გადანაწილებისას, უმჯობესი იქნება ზოგიერთი შედეგის ფორმულირების შეცვლა (მაგ. სწავლის უნარებში). ზოგ სილაბუსში სწავლის უნარებში მოცემულია შედეგი, რომელიც უნდა იყოს კომუნიკაციის კომპონენტში (მაგ. კურსში- გლობალური განათლება და ქართული განათლების ისტორია). ამ მიზნით დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ სილაბუსებში სწავლის შედეგების დახვეწის რეკომენდაცია.

- სასურველია, უნივერსიტეტმა კვლავაც გააგრძელოს ზრუნვა მოცემულ დარგში ქართულენოვანი ახალი ლიტერატურის მოძიებისა და სასწავლო ლიტერატურის ახალი მასალებით განახლებისათვის.
- ასევე სასურველია, გაგრძელდეს პროგრამაში ჩართული პროფესორ - მასწავლებლების პროფესიული ზრდისათვის ხელშეწყობა, რათა გაიზარდოს საერთაშორისო რეფერირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენლების აზრით, რეკომენდაციები მისაღები და გასათვალისწინებელი იყო, მოხდა საგნების გადანაცვლება, სილაბუსებში შემთხვევით დარჩენილი ხარვეზები გასწორდა. სტანდარტთან დაკავშირებით კი განმარტეს, რომ ელექტრონული ვერსია არსებობდა, მაგრამ ბიბლიოთეკაში დაიდო ბეჭდური ვარიანტიც. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, უნივერსიტეტი აფინანსებს პროფესორების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, რაც შემდგომშიც გაგრძელდება.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა აკადემიური პერსონალის დაკომპლექტებით.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ამჟამად პროგრამაზე იყო ორი პროფესორი და ორი ასოცირებული პროფესორი, აგვისტოს ბოლოს კი კონკურსის წესით შეირჩეოდა ექვსი აკადემიური კადრი. პროგრამაზე იგეგმებოდა ათი სტუდენტის მიღება, თუმცა დაწესებულების წარმოადგენლების აზრით, არსებული რესურსით უფრო მეტი სტუდენტის მიღების საშუალებაც გააჩნდათ. მათი განცხადებით, ისინი პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობდნენ დემირელის სკოლასთან, სადაც სტუდენტები შეძლებენ პრაქტიკის გავლას.

3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	**შედარებითი კომერციული სამართალი**
განათლების საფეხური:	**მაგისტრატურა**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	**სამართლის მაგისტრი**
სწავლების ენა:	**ქართული ინგლისური კომპონენტებით**
კვალიფიკაციის კოდი:	**06**
კრედიტების რაოდენობა:	**120**

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები ქეთევან ქოქრაშვილმა წარადგინა საბჭოს წინაშე:

- ზოგიერთ სილაბუსში მითითებული ლიტერატურა სასურველია ჩანაცვლდეს უფრო ახალი გამოცემებით. მაგალითად:
    - პროფესიული უნარ- ჩვევების სილაბუსში მითითებულია თ.ლილუაშვილისა და ვ.ხრუსტალის სახელმძღვანელო „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი" - ძველი ვერსია (2014 წელს გამოიცა ახალი სახელმძღვანელო - თლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, ზ. ძლიერიშვილი, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი");
    - შედარებითი სახელშეკრულებო სამართლის სილაბუსში მითითებულია ლ. ჭანტურიას „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში (1997წ.). აღსანიშნავია, რომ იმავე ავტორის მიერ გადამუშავებული სახით 2011 წელს გამოიცა ახალი სახელმძღვანელო, რაც არ არის აღნიშნული ზემოხსენებულ სილაბუსში;
    - შედარებითი საკორპორაციო სამართლის ძირითად ლიტერატურაში მითითებულია 2002 წელს გამოცემული „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი". 2002 წლის შემდგომ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონმა განიცადა პრინციპული ცვლილებები, რის გამოც, აღნიშნული სახელმძღვანელო მოძველებულია.
- ზოგიერთ სილაბუსში ერთი და იგივე დასახელების სახელმძღვანელო მეორდება სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის გრაფაში, მაგალითად - პროფესიული და უნარ -ჩვევების სილაბუსში;
- ზოგიერთ სილაბუსის ლიტერატურა მოითხოვს გამდიდრებას და უცხოური ლიტერატურით შევსებას. მაგალითად, სილაბუსში - კანონიერი ვალდებულებითი ურთიერთობები ქართული და ევროპული კანონმდებლობის მიხედვით, მითითებულია მხოლოდ ქართული სახელმძღვანელოები, რაც შეეხება კანონმდებლობას, მითითებულია მხოლოდ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.;
- სილაბუსში - კორპორაციული მართვა - განსახილველად შეთავაზებულია ზოგიერთი ისეთი საკითხი, რაც, როგორც წესი, განიხილება საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში (მაგალითად: აქციონერი, აქციონერთა კრება; აქციონერის ცნება და მნიშვნელობა, აქციონერთა უფლება-მოვალეობანი, დირექტორის დანიშვნა კომპეტენცია და ასე შემდეგ);

- საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, თუმცა პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა, უნივერსიტეტმა წარმოდგენილ პროგრამაზე დაამატოს შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ყველა რეკომენდაცია გასწორებული და სათანადო წესით იყო დამტკიცებული. ლიტერატურა განახლდა და ბიბლიოთეკაში დაიდო. ბიბლიოთეკის განახლებასა და გამდიდრებაზე უნივერსიტეტი თანხას არ იშურებდა, ამათანავე სექტემბერში ერთი აკადემიური პერსონალის დამატება იგეგმებოდა კონკურსის წესით.

ექსპერტის თქმით, ზოგადად ძალიან კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა უნივერსიტეტს, ბევრი ძვირადღირებული წიგნით, როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, პროგრამაში თუ იყო ჩართული უცხოელი პროფესორი, ან თუ ხდებოდა მათი მოწვევა, რამდენადაც პროგრამა ინგლისურ ელემენტებს მოიცავს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მემორანდუმები გაფორმებული იყო მრავალ უცხოურ უნივერსიტეტთან, სხვადასხვა ქვეყანებში იგეგმებოდა სტუდენტთა მობილობა. რაც შეეხებოდა, ამ კონკრეტულ პროგრამას, აქტიურად თანამშრომლობენ ამსტერდამის უნივერსიტეტთან.

ექსპერტის თქმით, უნივერსიტეტს სპეციალურად უცხოელი პროფესორებისთვის ჰქონდა სასტუმრო.

4. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0705
კრედიტების რაოდენობა:	240

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი გვალიამ წარადგინა. ექსპერტმა საბჭოს ვიზიტის დროს დაფიქსირებული არსებითი გარემოებები და ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები გააცნო:

- „1. საგანმანათლებლო პროგრამასა და ცალკეული კომპონენტების სილაბუსებში მიზანშეწონილია უფრო მეტი სიცხადით გაიწეროს ზოგადი კომპეტენციები, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია დარგობრივ კომპეტენციებზე;
- 2. საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერება, მეტი თანამშრომლობითი კავშირების დამყარება პროგრამის გაძლიერების მიზნით;
- 3. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი საჭიროებს რედაქტირებას, რადგან ამ სახით, ატარებს ფორმალურ ხასიათს და არ პასუხობს დანიშნულებას. მიზანშეწონილია მას ჰყავდეს პასუხისმგებელი პირი/ავტორი და შინაარსი დაზუსტდეს მეთოდური აქტივობებით;
- რამდენიმე კომპონენტი ხორციელდება მხოლოდ უცხოურ ენაზე (მაგ.: საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი), რაც წარმოშობს რისკს, რომ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი შეიძლება დარჩეს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის გარეშე;
- სასურველია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი „საგარეო პოლიტიკის ანალიზი", რომლის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცა: საგარეო პოლიტიკის არსი, საგარეო პოლიტიკისა და გადაწყვეტილების მიღების თეორიები და ა.შ;
- სასურველია კურსები „საჯარო პოლიტიკა" და „შედარებითი პოლიტიკა" პროგრამის ფარგლებში ნაცვლად არჩევითისა, სავალდებულო კურსების სახით იქნეს შეთავაზებული;
- მიზანშეწონილია სპეციალობის ძირითად ნაწილში გათვალისიწინებულ იქნას ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს სახელმწიფო მოხელისთვის საჭირო უნარებს განუვითარებს;
- საქართველოს და მსოფლიოს თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ძირითადი სპეციალობის ბლოკში იქნას გადატანილი;

- „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი“ - სილაბუსში ერთ-ერთ მიზნად გაცხადებულია სტუდენტს გააცნოს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები. თუმცა, შინაარსში არც ერთი ლექცია არ ეთმობა აღნიშნული გადაწყვეტილებების განხილვას. მიზანშეწონილია განმახორციელებელი პერსონალის მიერ გათვალისწინებული იქნას მიზნის-შინაარსის და შედეგის თანხვედრის მნიშვნელობა, სასწავლო კურსის წარმატებით ათვისებისათვის;
- სასწავლო კურსი „საერთაშორისო ორგანიზაციები“ ზედმეტად დესკრიპციულია და ნაცვლად ანალიტიკური უნარების განვითარების ხელშეწყობისა, ორიენტირებულია უმეტესად ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდებაზე. სასურველია, კურსის ფარგლებში უფრო მეტი ყურადღება მიექცეს საერთაშორისო ორგანიზაციების როლის (შესაძლებლობების/ლიმიტაციების) გააზრებას და იმ ძირითადი თეორიული საკითხების შესწავლას, რაც ამ მიმართულებით თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ფარგლებში არსებობს;
- ინგლისურენოვანი სასწავლო კურსის „International Organizations'' სილაბუსი საჭიროებს სტილისტურ და გრამატიკულ გამართვას. გარდა იმისა, რომ აღნიშნულ სილაბუსში მოცემული ტექსტი გრამატიკულად გაუმართავია, ასევე გარკვეული ტერმინები არასწორად არის შემოთავაზებული (მაგ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი ნათარგმნია როგორც: „International Currency Fund“, მაშინ როდესაც სწორი ვერსიაა „International Monetary Fund (IMF)“;
- სასწავლო კურსში „საქართველო და ევროკავშირი“ საკითხების თანმიმდევრობა საჭიროებს გამართვას. კერძოდ, აღნიშნული კურსის ფარგლებში ჯერ განხილულია საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების მოტივაციის ორი ახსნა (რაციონალურ-ინსტრუმენტალური და კონსტრუქტივისტული) და მომდევნო ლექციაზე ამ ურთიერთობების ემპირიული ნაწილი. უფრო ლოგიკური იქნება, თუ კურსის ფარგლებში სტუდენტები ჯერ იმას შეისწავლიან, რის ახსნასაც ცდილობენ და არა პირიქით;
- ცალკეული კურსების შემთხვევაში შეინიშნება საკითხების დუბლირება (მაგ., კურსები: გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი, გლობალური პოლიტიკა, გლობალიზაცია და ნაციონალიზმი). სასურველია უფრო მეტი ყურადღება მიექცეს კურსებში თემატიკის დუბლირების საკითხს.“

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, თამარ გვიანიშვილმა საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერებასთან დაკავშირებულ ექსპერტთა რეკომენდაციაზე თანხმობა გამოხატა. წარმომადგენლის განცხადებით, სასწავლო უნივერსიტეტს აღნიშნულ პროგრამაზე ჯერ სტუდენტები არ ჰყავდა, თუმცა, მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, დაწესებულებას 8 მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთისა და უკრაინის უნივერსიტეტებთან. წარმომადგენელმა ახალი საერთაშორისო კავშირების დასამყარებლად და ძველი თანამშრომლობის გაგრძელებისთვის მზაობა გამოთქვა.

რაც შეეხება, ზოგადი კომპეტენციების ნაკლებობასთან დაკავშირებულ შენიშვნას, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა შემუშავებული ორი მიდგომა, რომლის საფუძველზეც სწავლის შედეგები უნდა ჩამოყალიბებულიყო: ერთი თიუნინგის პროექტის მასალებს ეხებოდა, სადაც დარგობრივი კომპეტენციების შესახებ კეთდებოდა

მითითება, მეორე კი ზოგად კომპეტენციებს უკავშირდებოდა. შესაბამისად, ძირითადი სასწავლო კურსების მიზანი დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავება და ნაწილობრივ, ზოგად კომპეტენციებზე გასვლა იყო. მისივე თქმით, ზოგად კომპეტენციებზე სხვა არასავალდებულო კურსებიც გადიოდა (მაგ.: ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ა.შ.) და ექსპერტის რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო.

საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით თამარ გვიანიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ნიმუში, სადაც შედეგებში, შეფასების სისტემასა და მეთოდებში ფიქსირდებოდა, რომ დაზუსტება ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ მოხდებოდა. თემებს წინასწარ შესთავაზებდნენ სტუდენტებს, რის შემდეგაც თემების დაზუსტება ხელმძღვანელებთან მოხდებოდა - თემების წინასწარ გაწერა ვერ ხერხდებოდა და არარელევანტურიც იქნებოდა. წარმომადგენლის განცხადებით, სასწავლო უნივერსიტეტს 2015 წელს დაუდგინდა საბაკალავრო ნაშრომის თემები, რომლებიც 2020 წელს უნდა დაცულიყო. უნივერსიტეტს არ შეეძლო პერსონალისთვის უმაღლესი განათლების კანონით მინიჭებული აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა და სასწავლო პროცესი სწორედ ამ თავისუფლების ფარგლებში განისაზღვრებოდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა დამატებით განაცხადა, რომ ორ ენაზე შესთავაზებდნენ უცხოენოვან კურსებს - საერთაშორისო ორგანიზაციები და ჰუმანიტარული სამართალი , რომ არ მომხდარიყო სტუდენტის დარგობრივი კომპეტენციიდან გადაცდომა. სტუდენტი თავად აირჩევდა სწავლების ენას.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შედარებითი და საჯარო პოლიტიკის კურსებმა არჩევითი ბლოკიდან ძირითადში გადაინაცვლა.რაც შეეხება საგანი- „საგარეო პოლიტიკა" აისახა ძირითად კურსებში და მზადდებოდა რიდერი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე გასწორდა სასწავლო კურსების სილაბუსებიც. სილაბუსებით დადგენილი თემატიკის თანხვედრასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ გლობალიზაციისა და ნაციონალიზმის საკითხებს გლობალური პოლიტიკის კურსში ერთი საათი ეთმობოდა, თუმცა ცალკე არსებული სასწავლო კურსი მთლიანად მოიცავდა აღნიშნულ თემატიკას. გლობალიზაციისა და ახალი მსოფლიო წესრიგის კურსთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მითითებას გარკვეულწილად ეთანხმებოდნენ, თუმცა თვლიდნენ, რომ თემატიკის მთლიანად გადაფარვა მაინც არ ხდებოდა. ექსპერტების მითითებასთან-ჰუმანიტარული სამართლის არჩევითიდან ძირითად ბლოკში გადატანაზე დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად როგავამ, განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში პროგრამა ზედმეტად გადაუხვევდა სამართლის მიმართულებით, ამის გამო, ექსპერტთა რეკომენდაციას ვერ გაიზიარებდა.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ ალექსიძემ დაწესებულების წარმომადგენელთან, თამარ გვიანიშვილთან დააზუსტა ინგლისურენოვანი კურსების შეთავაზების საკითხი. წარმომადგენლის განცხადებით, ორი კურსის შეთავაზება ქართულ და ინგლისურ ენებზე მოხდებოდა და დაწესებულებას გააჩნდა კადრები, რომლებიც ამ კურსების ინგლისურ ენაზე წაკითხვას შეძლებდნენ.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ, ექსპერტებს საკითხის შეჯამება სთხოვა. პასუხად გიორგი გვალიამ საბჭოს განუცხადა, რომ პროგრამა გავიდოდა შედეგებზე, თუკი ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები იქნებოდა გათვალისწინებული. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში აუცილებლად უნდა

გაწერილიყო მეთოდოლოგიური საკითხები - შინაარსობრივი დატვირთვა, მართალია მოხდებდა მოგვიანებით, მაგრამ ხელმძღვანელსა და სტუდენტს შორის ურთიერთობები და მეთოდოლოგია წინასწარ უნდა გაწერილიყო, რაც არ ზღუდავდა აკადემიურ თავისუფლებას.

ექსპერტის შენიშვნაზე თამარ გვიანიშვილმა განაცხადა, რომ ხელმძღვანელთან შეხვედრის განრიგები და დატვირთვა გაწერილი იყო და ამ შეხვედრებზე შექმნიდნენ ხელმძღვანელები ინდივიდუალურ სილაბუსებს.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობითა და პროგრამაში ჩართულ პროფესორთა რიცხვით, რათა საბჭოსთვის უფრო ნათელი გამხდარიყო საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობისას ინდივიდუალური მიდგომების განხორციელების რეალურობა; ასევე, იყო თუ არა საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი სასწავლო უნივერსიტეტის ყველა პროგრამისთვის იდენტური.

პასუხად თამარ გვიანიშვილმა განაცხადა, რომ პროგრამის განხორციელებაში სამართლის პროფესორების გარდა ჩართული იყო 8 პროფესორი. პროგრამის განხორციელება 2016 წლიდან იგეგმებოდა, ამ დროისთვის დაწესებულება პერსონალის დამატებასაც ითვალისწინებდა, ამიტომ 30-40 სტუდენტზე ვარაუდობდა განაცხადის გაკეთებას. საბაკალავრო ნაშრომს რაც შეეხება, სილაბუსი იდენტური იყო ყველა იმ პროგრამისთვის, რომელზეც საბაკალავრო ნაშრომი იწერებოდა.

5. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0705
კრედიტების რაოდენობა:	240

ექსპერტმა საბჭოს ვიზიტის დროს დაფიქსირებული არსებითი გარემოებები და ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები გააცნო:

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამას დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები:

- პოლიტიკის მეცნიერების შესავალი - სავალდებულო კურსად
- შედარებითი პოლიტიკა - სავალდებულო კურსად
- საჯარო პოლიტიკა - სავალდებულო კურსად
- კვლევის მეთოდები - სავალდებულო კურსად
- საგარეო პოლიტიკის ანალიზი - არჩევით კურსად

- სალექციო კურსის „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია" თემატიკის თანმიმდევრობა და სალექციო/სასემინარო პროცესის ორგანიზება საჭიროებს გადახედვას. მაგ, მე-10 ლექციის თემა არის საქართველოს ურთიერთობები დსთ-ს სივრცესთან და ამავე ლექციის სემინარის თემა კი საქართველოს დიპლომატია მე-13 და მე-14 საუკუნეებში;
- სალექციო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი" მე-6 ლექცია სრულად ეთმობა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტის საქმიანობის სფეროების განხილვას. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია განიხილებოდეს კურსის დასაწყისში და არა შუაში. ასევე, საკითხავია, რამდენად სჭირდება აღნიშნულ საკითხს ერთი სრული ლექცია/სემინარის დათმობა.
- სავალდებულო სასწავლო კურსის "ზოგადი და სოციალური ფსიქოლოგია" თემატიკის გარკვეული ნაწილი ნაკლებად რელევანტურია საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტისთვის (მაგალითად, ძალადობა ოჯახში). სასურველია აღნიშნული კურსის თემატიკა უფრო მეტად იყოს დაკავშირებული ისეთ საკითხებთან როგორიც არის: ლიდერის ოპერაციული კოდის გავლენა საგარეო პოლიტიკაზე, კრიზისის ფსიქოლოგია და საგარეო პოლიტიკა, და ა.შ.;
- სასწავლო კურსის „საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოება" თემატიკა საჭიროებს გადახედვას. კერძოდ, მე-15 ლექცია ეთმობა საქართველოს დემოგრაფიული და სამხედრო უსაფრთხოების საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიულ გამოწვევებს აქვს გავლენა ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობებზე, დემოგრაფიული უსაფრთხოების თემატიკა მეტწილად სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებისაა;

- სასწავლო კურსი „საერთაშორისო ორგანიზაციები“ ზედმეტად დესკრიპციულია და ნაცვლად ანალიტიკური უნარების განვითარების ხელშეწყობისა, ორიენტირებულია სტუდენტებისთვის უმეტესად ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდებაზე. სასურველია, კურსის ფარგლებში უფრო მეტი ყურადღება მიექცეს საერთაშორისო ორგანიზაციების როლის (შესაძლებლობების/ლიმიტაციების) გააზრებას და იმ ძირითადი თეორიული საკითხების შესწავლას, რაც ამ მიმართულებით თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ფარგლებში არსებობს;
- სასურველია კურსში "საზღვარგარეთის ქვეყნების თანამედროვე დიპლომატია" დაემატოს თემა "ევროკავშირის დიპლომატია," რადგან ამ კურსში გამოყენებულ ლიტერატურაშიც აღნიშნული თემა საკმაოდ ფართოდ არის მიმოხილული;
- ლოგიკურია კურსში "საერთაშორისო საჯარო სამართალი" ცოდნა და გაცნობიერებაში შეიცვალოს "სიღრმისეული ცოდნა" "საფუძვლებით," რადგან ბაკალავრიატის კურსი ვერ მისცემს სტუდენტს სიღრმისეულ ცოდნას ვფიქრობთ, რომ "დიპლომატიური და საკონსულო სამართალი" უნდა გახდეს არჩევითი საგანი და არ იყოს სავალდებულო საგნების რიცხვში; სამაგიეროდ, მისთვის დათმობილი კრედიტების ხარჯზე, შესაძლებელია დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო კურსის შენაცვლება, იხ. რეკომენდაციის ნაწილი 1;
- სასურველია, რომ კურსი "ევროპული ინტეგრაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი," კონცენტრირებული იყოს ევროპის ინტეგრაციაზე და არჩევით კურსებს დაემატოს კურსი "ევროპა როგორც გლობალური აქტორი," "ევროკავშირი და ახალი მსოფლიო წესრიგი" ან ევროპის "საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების პოლიტიკა." რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს უკეთესად შეისწავლონ ევროკავშირის მზარდი როლი თანამედროვე მსოფლიოში და არ შემოიფარგლონ კურსში ამ თემისათვის დათმობილი მხოლოდ ერთი ლექციით;
- კურსში "მსოფლიოს უახლესი ისტორია" მიმოხილულია ისტორიული პერიოდი 1923 წლიდან 2001 წლის ჩათვლით. აღნიშნულთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემული პერიოდიკა მისაღებია, თუმცა შესაძლებელი იყო აღნიშნული კურსი ყოფილიყო ორ სემესტრიანი, რაც საშუალებას მისცემდა დეტალურად გაევლოთ 1923-1945 პერიოდი და 1945 წლიდან დღემდე განვითარებული მოვლენები. ასევე, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული კურსი არ უნდა სრულდებოდეს 1992-2001 წლებით. ბოლო ლექციების დროს უნდა იყოს ახსნილი 2001 წლიდან 2015 წლამდე განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენები, მაგალითად: ომი ერაყში, ომი ავღანეთში, გლობალური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ და სხვ.;
- ვფიქრობთ, რომ კურსი საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები, მიუხედავად მისი არჩევითი სტატუსისა უნდა იქნას ამოღებული პროგრამის დარგის არჩევითი კომპონენტებიდან და გადატანილი იქნეს თავისუფალ არჩევით კრედიტებში, რადგან მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კურსი არის უფრო მეტად ბიზნესის ან ეკონომიკის ბაკალავრიატის პროგრამის შემადგენელი ნაწილი;
- სასურველია პირად საქმეებში წარმოდგენილი იყოს ყველა დოკუმენტი ჯეროვნად: სასურველია ყველა საქმე იყოს მოწესრიგებული. მაგალითად სალომე სადუნიშვილის საქმეში, რომელიც ასწავლის ჩინურ ენას, მისი CV-ში ჩინური ენის ცოდნა შეფასებულია

საშუალო (Intermidiate) საფეხურით. ჩინური ენის სერტიფიკატი (რომელიც ჩინურ ენაზეა შედგენილი) მიუთითებს ენის ფლობის მეორე დონეზე. სასურველია, რომ CV - ში გაწერილი იყოს რა დონეზე ფლობს ის ჩინურს რეალურად და რას გულისხმობს სერტიფიკატის მეორე დონე.
(იხ. დანართი 5.)

- სასურველია, ბიბლიოთეკაში სრულად იყოს წარმოდგენილი შემდეგი ლიტერატურა:
  ესპანური ენის სახელმძღვანელოები;
  ჩინური ენის სახელმძღვანელოები (მხოლოდ ორი სახელმძღვანელო);
  ფრანგული ენის სახელმძღვანელოები დაკომპლექტდეს ახალი სახელმძღვანელობითაც.
- პროგრამა არის ქართულენოვანი, ამიტომ პროგრამაზე მიღების წინაპირობების გამჭვირვალობის მიზნით, სასურველია განსაზღვრული იყოს არაქართულენოვანთათვის ქართული ენის ფლობის დონე და დაწესებულებაშიც უნდა არსებობდეს ფლობის დონის შემოწმების/დადასტურების მექანიზმი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის განსახორციელებლად დასკვნაში მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინება აუცილებლად მიაჩნდა, განსაკუთრებით 1-ლიდან მე-11 ჩათვლით. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამა განსაკუთრებით პოლიტიკის კომპონენტის გაძლიერებას საჭიროებდა. „პროგრამას რაც ყველაზე ძლიერი უნდა ჰქონდეს, ყველაზე სუსტია" - ასეთია ექსპერტის შეფასება.

13:36 საათზე საბჭოს შემოუერთდა საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა რეკომენდაციებს და მათი გარკვეული ნაწილი უკვე გათვალისწინებული იყო. მისივე თქმით, თავისუფალი კრედიტების ხარჯზე, პოლიტიკური მეცნიერების საგნების დამატებაც იგეგმებოდა. წარმომადგენელმა დამატებით დასძინა, რომ პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულს არა სოციალური მეცნიერებების, არამედ საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის ხარისხი მიენიჭებოდა - პროგრამაზე გარკვეული კურსები დიპლომატებთან და კვალიფიციურ სპეციალისტებთან თანამშრომლობით შეიქმნა და მიუხედავად ექსპერტთა პოზიციისადმი გამოხატული თანხმობისა, ბოლომდე მაინც ვერ გაიზიარებდა, რადგან პროგრამა საერთაშორისო მიმართულების იყო, რაც უფრო სოციალური სფეროა, ვიდრე წმინდად პოლიტიკური.ჩინური ენის პედაგოგთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პედაგოგი 6 დონიდან მე-4 დონის სერტიფიკატს ფლობდა, ასევე, მისმა სამმა სტუდენტმა კონკურსში გაიმარჯვა და ჩინეთში მიემგზავრებიან. პედაგოგს ჩინეთის მოქალაქე, მოხალისე მასწავლებელიც უწევდა დახმარებას, რომელიც ჩინეთის საელჩოს მოწვევით იმყოფება საქართველოში და ინგლისურ-ჩინურ ენებზე მოსაუბრეა. ყოველივე ამასთან ერთად, სამი წლის შემდეგ ენის პედაგოგი ენების კურსის გავლას და კვალიფიკაციის ამაღლებას ჩინეთში აპირებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა პროგრამის მთავარ დადებით მხარედ მისი ბაზარზე ორიენტირებულობა მიიჩნია. ასევე, პროგრამაზე მსოფლიოს 13 ძირითადი ენიდან 9 ენა ისწავლებოდა გაძლიერებულად, ამათგან 4 - აღმოსავლური. პროგრამის ერთერთი უპირატესობა, წარმომადგენლის აზრით, აკადემიური პერსონალიც იყო, რომელილ საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებით, გამოცდილი დესპანებითა და მრჩევლებით იყო დაკომპლექტებული.

6. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	დიპლომირებული მედიკოსი
განათლების საფეხური:	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა:	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი:	090101
კრედიტების რაოდენობა:	360

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ ვალიშვილმა წარადგინა. ექსპერტმა საბჭოს ვიზიტის დროს დაფიქსირებული არსებითი გარემოებები და ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები გააცნო:

- სასურველია, პროგრამაზე დაშვების პუნქტში განისაზღვროს და დაკონკრეტდეს ინგლისური ენის ცოდნის დონე.
- ასევე, საქართველოს მოქალაქეებისათვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში სასურველია, მიეთითოს ის რეგულაციები, რაც განსაზღვრულია უსდ-ს მიერ;

დაწესებულების წარმომადგენელმა, გაწეული დახმარებისთვის, ექსპერტთა ჯგუფის მადლობა გამოხატა. მისი განცხადებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დღეისათვის ყველაზე მოთხოვნადი სამედიცინო სკოლა იყო საქართველოში. უნივერსიტეტში სამედიცინო განათლებას 2000-ზე მეტი უცხოელი სტუდენტი იღებდა. წარმომადგენლის თქმით, პროგრამა დიდი ხნის მანძილზე ხორციელდებოდა და დახვეწის პერიოდიც ხანგრძლივი იყო.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უცხო ენის დადასტურებასთან დაკავშირებული პუნქტი პროგრამის აღწერაში გამორჩენილი იყო, თუმცა რეგულაციებში იყო ჩადებული და დადასტურებისთვის დოკუმენტიც თან ჰქონდა.

საბჭოს წევრის, მაგდა მაღრაძის კითხვებზე პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში მსოფლიოს 39 ქვეყნის წარმომადგენელი იღებდა განათლებას, მათ შორის ევროპის და ამერიკის მოქალაქეებიც; პროგრამაზე 1760 სტუდენტი სწავლობდა, რაც დიდი გამოწვევა და ინვესტიცია იყო საქართველოსთვის; საქართველოს მოქალაქეები პროგრამაზე ეროვნული გამოცდების საფუძველზე ირიცხებოდნენ, ხოლო უცხოელებს ინგლისური ენისა და ბიოქიმიის გამოცდის ჩაბარება უწევდათ; პროგრამაზე სწავლის საფასური 7000 $ გახლდათ.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით, პროგრამაზე დაგროვებული გამოცდილებით, პრობლემათა გადაწყვეტის პრეცენდენტებით და ცვლილებათა დინამიკით დაინტერესდა. დაწესებულების წარმომადგენელმა კონკრეტული, მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის შემთხვევა ვერ გაიხსენა, თუმცა აღნიშნა, რომ პროგრამაზე ჰარვარდიდან მოწვეული პროფესორების არჩევითი კურსების დამატება მოხდა და სამომავლოდ მათ ძირითადი კურსების წაკითხვაც შეეძლებოდათ, ასევე, მთავრობის დახმარებით უნივერსიტეტს

გადაეცა დიდი ფართი საუნივერსიტეტო კლინიკისათვის და დაწესებულება სურვილს გამოთქვამდა, რომ მე-3 კურსიდან სტუდენტებს კლინიკის ბაზაზე ემუშავათ. წარმომადგენლის განმარტებით, ხარისხის სამსახური ინტენსიურად ახდენდა სტუდენტების გამოკითხვას და ითვალისწინებდა მათ აზრს.

14:01 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.
სხდომა განახლდა 14:16 საათზე.

- სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მასწავლებელი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივ ერსიტეტის შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);

7. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	სტომატოლოგია (ინგლისურენოვანი)
განათლების საფეხური:	დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	დიპლომირებული სტომატოლოგი
სწავლების ენა:	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი:	0902
კრედიტების რაოდენობა:	300

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს- ნატო ალავიძემ და ეკა ეკალაძემ. ისინი შეხვდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, დამსაქმებლებს, სრულად შეისწავლეს დოკუმენტაცია და დაათვალიერეს მატერიალური რესურსი. ექსპერტმა ნატო ალავიძემ განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები შემუშავდა არა იმიტომ, რომ პროგრამა შედეგზე ვერ გადის, არამედ პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით:

რეკომენდაციები:

- სტომატოლოგიის (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სხვადასხვა კატეგორიის აპლიკანტებს (ერთიანი ეროვნული გამოცდებით და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, რაც განსაზღვრულია საქართველოს კანონით განათლების შესახებ). პროგრამაში მითითებულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც აპლიკანტს (რომლისთვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება სავალდებულოა) უადვილებს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობას, თუმცა, უძნელებს სწავლის პროცესს, რადგან მაგალითად, ისეთი კურსები, როგორიცაა ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ციტოლოგია; სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა; სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია და ა.შ მოითხოვს არა მინიმალურ კომპეტენციებს, არამედ ინგლისური ენის შედარებით სრულყოფილ ცოდნას (B1.2 დონეზე მაინც).

რაც შეეხება აპლიკანტებს, რომლებსაც პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ, მათთვისაც მნიშვნელოვანია ინგლისური ენის ცოდნის დონისა და მისი დადასტურების მეთოდის (სერტიფიკატი, ტესტირება და ა.შ) განსაზღვრა, ვინაიდან ამ კატეგორიას შესაძლოა ეკუთვნოდნენ ადამიანები არაინგლისურენოვანი ქვეყნებიდან და შესაძლოა ვერ იქნას უზრუნველყოფილი სტომატოლოგიის (ინგლისურენოვან) პროგრამაზე შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა.

შესაბამისად, მიზანშეწონილია ინგლისური ენის ფლობის დონის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების პუნქტში (შენიშვნა: აღნიშნული რეკომენდაციები ექსპერტებმა გააცნეს დაწესებულების წარმომდგენლებს ვიზიტის დროს, რაც დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებშივე გაითვალისწინა და წარმოადგინა აკადემიური საბჭოს შესაბამისი ოქმი, დაშვების წინაპირობებში ცვლილების შეტანის შესახებ;

- სასურველია ქართული ენა 1 და ქართული ენა 2-ის (რომლებიც დიპლომირებული სტომატოლოგის (ინგლისურენოვან) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია უცხოელი სტუდენტებისათვის საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებისა და ქართულენოვან საზოგადოებასთან ადაპტაციისათვის მიზნით) ალტერნატივად, საქართველოს მოქალაქეებისათვის (ქართულენოვანი სტუდენტებისათვის), რომლებსაც ასევე უფლება აქვთ ჩაირიცხონ ინგლისურენოვან პროგრამაზე, შეთავაზებულ იქნას სხვა რომელიმე კურსი (თუნდაც არჩევითი).

- „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს" მუხლი 2. პუნქტი 8-ის შესაბამისად: „სამედიცინო, სტომატოლოგიური და ვეტერინარიული განათლება მიიღება ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით, რომელიც სწავლის შედეგებით უთანაბრდება მეორე საფეხურს". იმავე „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს" მუხლი 3. პუნქტი 7 - ის შესაბამისად უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგებია: ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ნაწილში ფიქსირდება შემდეგი ჩანაწერი: - სამედიცინო სფეროში ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე რეფერატის/მიმოხილვის დაწერა; გამოყენებული ლიტერატურის წყაროების კონკრეტულად შეფასება, დასკვნების გაკეთება და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. ამ უკანასკნელის უზრუნველსაყოფად საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი რიგი კურსებით (ფიზიოლოგია, სამედიცინო ბიოქიმია 1,2; პირის ღრუს ლორწოვანი დაავადებები და სხვ.) განსაზღვრულია რეფერატის/პრეზენტაციის წარმოდეგნა, როგორც კვლევის დმოუკიდებლად წარმოება უახლესი მეთოდების გამოყენებით, ვინაიდან რეფერატი შეიძლება წარდგენილ იქნეს სხვისი ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებით (სილაბუსებში არ არის დაკონკრეტება, რას სახისაა რეფერატი, სწავლის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები არ მიუთითებს დამოუკიდებელი კვლევის წარმოებაზე). საგანმანათლებლო პროგრამაში ფიგურირებს არჩევითი სასწავლო კურსი „ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა"- 2 კრედიტი, რომელიც ზოგადად სამედიცინო სფეროში გამოყენებული კვლევის რიგ მეთოდებს მოიცავს, თუმცა კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერთან, შესაბამისობის სრულყოფის მიზნით, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა (ცალკეული კომპონენტის სახით ან რომელიმე კურსის შემადგენლობაში) მოიცავდეს დამოუკიდებელ კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, შესაბამისად კურსი - „ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა" - არჩევითიდან გადავიდეს სავალდებულო კურსების ჩამონათვალში.

- ფარმაკოლოგიის სასწავლო კურსის სილაბუსებში სასურველია კურსის სწავლის შედეგები (მიზანი გაცილებით ზოგადია!) და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში. სწავლის შედეგებში ფიქსირდება: სტუდენტს ეცოდინება - სამკურნალო და საანესთეზიო საშუალებების დოზირება და ორგანიზმის პათოლოგიური რეაქციები პრეპარატებზე. კურსის შინაარსში საანესთეზიო საშუალებები არ ფიქსირდება, მე-13 საკითხად ფიქსირდება: იონურ არხებზე მოქმედი ნივთიერებები. იონებისა და წყლის ბალანსის რეგულატორები Na+ და Ca 2+ არხების ბლოკატორები . მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფი პრეპარატების ფართო სპექტრს მოიცავს, შესაძლოა საანესთეზიო საშუალებები მოიაზრება Na+ არხების ბლოკატორებში, თუმცა საკითხი ბუნდოვნადაა ფორმულირებული, შესაბამისად, სწავლის შედეგთან შესაბამისობის სრულყოფის მიზნით, სასურველია, დაკონკრეტდეს აღნიშნული თემატიკა. თუმცა ეს საკითხი პროგრამის სტომატოლოგიურ მაპროფილირებელ დისციპლინებში (ანესთეზიის ნაწილში) განიხილება, სასურველია, საანესთეზიო საშუალებების ფარმაკოკინეტიკა და ფარმაკოდინამიკა დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს წინსწრებით ჰქონდეს განხილული.

- რიგ სილაბუსებში (სამედიცინო ბიოქიმია1,2; სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია და სხვა) სწავლის უნარის კომპეტენცია (სწავლის შედეგებში) ფორმულირებულია შემდეგნაირად: სტუდენტი შეძლებს: მიღებული ცოდნა გამოიყენოს საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე თეორიული და კლინიკური საგნების ათვისებაში/მიღებულ ცოდნას გამოიყენებს შემდგომი კურსების ათვისების პროცესში. სასურველია, დაზუსტდეს აღნიშნული ჩანაწერი უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერის (მუხლი 3. თავი 7. პუნქტი „ე") შესაბამისად, რომლის მიხედვით, სწავლის უნარი არის – სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.

- სტომატოლოგიის (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში ფიგურირებს ასეთი ჩანაწერი: პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტის მომზადება წარმატებული პროფესიული კარიერისთვის, რისთვისაც მნიშვნელოვანია, დარგობრივ ცოდნასთან და უნარებთან ერთად, მას ჩამოუყალიბოს კარგი ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის უნარები ინგლისურ ენაზე - პროგრამა ინგლისურენოვანია და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარი ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს, მით უმეტეს, რომ პროგრამაში ჩართული ინგლისური ენის სასწავლო კურსი ზოგადად პროფესიული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, ასევე პროგრამა მოიცავს ქართული ენის კურსს, რომელიც ქართულ ენაზე კომუნიკაციასაც უნდა უწყობდეს ხელს, შესაბამისად, ვფიქრობთ, ამ ჩანაწერში ფორმულირება „ეფექტური კომუნიკაციის უნარი ინგლისურ ენაზე" შეიცვალოს ზოგადი ფრაზით - „ეფექტური კომუნიკაციის უნარი".

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მოცემულია ფორმულირება: „პროგრამაზე ასევე დაიშვებიან: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტები; ასევე მობილობით შეუძლიათ ისარგებლონ სტუდენტებმა, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში". ამ უკანასკნელთა მიმართ მიზანშეწონილია დაზუსტდეს ჩანაწერი საქართველოს კანონის განათლების შესახებ - შესაბამისად (მუხლი 50; მუხლი 52.პ.3),

- სტომატოლოგიის (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამის, დასაქმების სფეროში გაკეთებულია შემდეგი სახის ჩანაწერი: „დიპლომირებული სტომატოლოგს შეუძლია დასაქმდეს სპეციალიზებულ სტომატოლოგიურ კლინიკებში თერაპიულ, ორთოპედიულ, ქირურგიულ, ბავშვთა სტომატოლოგიის განყოფილებებში სტომატოლოგის ასისტენტად. დამოუკიდებელი სტომატოლოგიური საქმიანობის უფლება მოიპოვება მხოლოდ შესაბამის სპეციალობებში სარეზიდენტო პროგრამის გავლის შემდეგ.", მიზანშეწონილია „სტომატოლოგის ასისტენტთან" დაკავშირებული ჩანაწერი დაზუსტდეს „საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონთან" შესაბამისად.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა - მაია ადვაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის და გამოთქვა თითოეულ პუნქტზე პასუხის გაცემის სურვილი. მისი განცხადებით, პროგრამა განსაზღვრული იყო მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოხდა წინაპირობების დაზუსტება შესწორების შეტანით. ქართულენოვან კონტიგენტს ჰქონდა თითქმის ანალოგიურ პროგრამაზე სწავლების საშუალება. რაც შეეხებოდა რეფერატის შეფასების კრიტერიუმებს, შემოქმედებითი აზროვნების შეფასება, პოზიციის ჩამოყალიბება, კრიტიკული ზროვნება, საკუთარი ხედვის ჩამოყალიბება, შედეგების შეჯამება - ეს წარმოადგენდა კრიტერიუმებს აკადემიური წერის ფარგლებში, აკადემიური წერის სტრუქტურას, ესსეს, რეფერატის წერის კულტურას სწავლობდნენ სტუდენტები.

ბიოსტატისტიკასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ რეკომენდაცია მისაღები იყო და გადაიტანდნენ ძირითადი კურსის ფარგლებში.

ფარმაკოლოგიას რაც შეეხება - ლექტორმა არ ჩათვალა საჭიროდ სილაბუსში დაწვრილებით გაეწერა დეფინიციების ქვეშ თუ რა პრეპარატები იყო მოაზრებული, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა სახელმძღვანელოებიდან ამოწერა ისინი და ჩამოუთვალა საბჭოს წევრებს. ასევე აღნიშნა, რომ აუცილებლად ჩაამატებდნენ და მომავალში დაწვრილებით იქნებოდა კონკრეტიზებული თითოეული ჯგუფის შემადგენლობაში რომელი პრეპარატები შედიოდა.

კლინიკური კურსის ფარგლებში, სტომატოლოგიის კურსში ცალკე იყო განხილული თითოეული პრეპარატის ჩვენება-უკუჩვენება. პედიატრიის ბავშვთა ქირურგიული სტომატოლოგიის კურსში იგივე ჩვენებები-უკუჩვენებებია განხილული ბავშვთა ასაკში და თერაპიული სტომატოლოგიის კურსშიც ცალკე არის განხილული თითოეული პრეპარატის ჩვენება-უკუჩვენება.

რადგან აქცენტი კეთდება რომ ინგლისურ ენაზე პროფესიულ დონეზე კომუნიკაცია უნდა შეეძლოს კურსდამთავრებულს, დაწესებულებამ გადაწყვიტა, რომ გაეკეთებინა ჩანაწერი, რომ კურსდამთავრებულს ინგლისურ ენაზე შეეძლებოდა პროფესიულ დონეზე კომუნიკაცია,

ვინაიდან ქართული ენის კომპონენტი კი იყო პროგრამაში ჩართული, მაგრამ ამ კომპონენტს პროფესიული ენის ცოდნაზე ვერ გაჰყავდა კურსდამთავრებული.

წინაპირობებში იყო სტილისტური ხასიათის შეცდომა-- წერტილმძმის ნაცვლად დაისმებოდა წერტილი და ამას მოჰყვებოდა კანონით განსაზღვრული დეფინიცია.

და ბოლო რეკომენდაციის საპასუხოდ, რომელიც შეეხებოდა სტომატოლოგის ასისტენტობას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოიძია მინისტრის N224 ბრძანება, რომელშიც შესული იყო ცვლილება და ამ ბრძანების თანახმად, პროგრამაში ასისტენტის ნაცვლად ჩაიწერებოდა უმცროსი ექიმ-სტომატოლოგი.

საბჭოს წევრს, გიორგი კამკამიძეს გაუჩნდა შეკითხვა შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით - როგორი იყო პროგრამის ხელმძღვანელების მიდგომა ახალ ტენდენციებთან მიმართებაში, დღევანდელ სტომატოლოგიურ სერვისთან დაკავშრებით, რადგან სახელმწიფომ, C ჰეპატიტთან ბრძოლის გამო, პრიორიტეტად დაისახა და თუ ძირითად აუცილებელ საკითხებში პროგრამაში არ იქნებოდა ჩადებული იგივე ეპიდემიური სტატისტიკის საკითხები, ცალმხრივად მოხდებოდა სტომატოლოგების მომზადება. ეს წარმოადგენდა იმ მექანიზმს, ინსტრუმენტს, რითაც სტომატოლოგი სულ უნდა ახორციელებდეს შიდა კონტროლს და იღებდეს გარე კონტროლში მონაწილეობას.

კითხვა მდგომარეობდა შემდეგში: რამდენად გაძლიერდა პროგრამაში ეს მიდგომა და როგორი ხედვა ჰქონდა დაწესებულებას - უნდა ჰქონდეს თუ არა სტომატოლოგს პაციენტის შესახებ ცე, ბე ჰეპატიტისა და შიდსის ვირუსით დასნებოვნებაზე ინფორმაცია და ა.შ.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ კარგი იქნებოდა აღნიშნულ ინფორმაციას ფლობდეს სტომატოლოგი, მაგრამ კლინიკები ისეთია შერჩეული, სადაც მაქსიმალურად არის დაცული ეს ნორმატივები და ძალიან უფრთხილდებიან და ერიდებიან ამ საკითხს.

გიორგი კამკამიძემ აღნიშნა, რომ თავიდანვე, ადრეულ ეტაპზე უნდა ჰქონდეს გამჯდარი ეს კომპეტენციები სტომატოლოგს. ვინაიდან დღესდღეობით ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა სტომატოლოგი პაციენტს ეკითხება აქვს თუ არა მას ცე ჰეპატიტი, ბე ჰეპატიტი ან სხვა დაავადება, ზოგიერთ შემთხვევაში არღვევენ კანონს და სთხოვენ ცნობას. თანამედროვე მიდგომა კი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა პაციენტი უნდა იყოს განხილული როგორც დაავადების პოტენციური მატარებელი და ინფიცირებული. არ უნდა მოხდეს დაყოფა. ამის სწავლება თავიდანვე საჭიროა, ვინაიდან შემდეგ, უკვე ჩამოყალიბებული სტომატოლოგისთვის ძნელია ახსნა, შესაბამისად მათ უჩნდებათ პროტესტი და მიაჩნიათ, რომ აქვთ უფლება იცოდნენ თავიანთი პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რაც ხშირად კანონის დარღვევას იწვევს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მისი ინფორმაციით შემოსულია ახალი ნემსები და კაფსულები, რომლებიც ნადგურდება პირველადი მოხმარების შემდეგ.

ამის პასუხად, საბჭოს თავმჯდომარემ დააკონკრეტა, რომ განათლების დონეზე უნდა გაუჯდეს ეს მიდგომები მომავალ სტომატოლოგს, იმის მიუხედავად აქვს თუ არა ესა თუ ის ერთჯერადი ინსტრუმენტი. ეპიდემიოლოგიის მიმართულება აუცილებლად უნდა გაძლიერდეს პროგრამაში, უნდა შეირჩეს სწორი კადრები, ვინაიდან ახალი, თანამედროვე მიდგომები არსებობს ამ სფეროში.

დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ ეპიდემიოლოგიის კურსი არის პროგრამაში და არჩევითი კურსიდან სავალდებულო კურსში მოხდება მისი გადატანა.

8. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0707
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა ლილი ხეჩუაშვილმა და ნინო დურგლიშვილმა.
ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები მდგომარეობდა შემდეგში:

წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა საკმაოდ თანმიმდევრულად, გააზრებულად და ლოგიკურად დალაგებულად გამოიყურება, თუმცა უფრო დეტალური შესწავლის შედეგად გამოვლინდა რიგი უზუსტობებისა და ასპექტებისა, რომლებიც დახვეწას საჭიროებს. ეს არ ეხება პროგრამის არქიტექტურას და მასშტაბურ შინაარსობრივ ცვლილებებს. ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები, უმეტესად, უფრო კერძო ხასიათს ატარებს და კონკრეტული კურსების ფარგლებში განსახორციელებელ ცვლილებებს ეხება. ამრიგად, პროგრამის ზოგიერთი მდგენელის მიზნების, შინაარსისა და შედეგების მეტად შესაბამისობაში მოყვანის და, ასევე, პროგრამით შეთავაზებული მისაღწევი კომპეტენციების მეტად მკაფიო ფორმულირების მიზნით, რეკომენდებულია:

1. პროგრამის აღწერის კომპეტენციების ნაწილში ზოგიერთი ფრაზის გადახედვა, დაკონკრეტება/მოდიფიცირება და ზოგ შემთხვევაში გადანაცვლება, კერძოდ:
   1.1. ცოდნა-გაცნობიერების კომპეტენციაში ვკითხულობთ (გვ. 7): „კორელაციური და შემთხვევის შესწავლის მეთოდების გამოყენება“, რაც რეალურად ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაა.
   1.2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების ჩამონათვალის (გვ. 7) პირველივე პუნქტში ნათქვამია, რომ სტუდენტი შეძლებს (სხვა აქტივობებთან ერთად) ინტერვიუირებას და აღარაფერია ნათქვამი სხვა უამრავი მეთოდის შესახებ, რომელიც კვლევის მეთოდების ორსემესტრიან კურსში წარედგინებათ სტუდენტებს. აღნიშნული მეთოდები მხოლოდ ცოდნა-გაცნობიერების კომპეტენციაშია ნახსენები. აქედან გამომდინარეობს, რომ სტუდენტს პრაქტიკაში მხოლოდ ინტერვიუს მეთოდის გამოყენება შეეძლება და დანარჩენი მეთოდების შესახებ მხოლოდ თეორიული ცოდნა ექნება. ამიტომ რეკომენდებულია, უფრო ზუსტად და დეტალურად გაიწეროს, რა მეთოდებით შეეძლებათ პრაქტიკაში ოპერირება კურსდამთავრებულებს.
   1.3. დასკვნის უნარში ვკითხულობთ (გვ. 8): „სოციალურ გარემოში წარმოქმნილი პრობლემური სიტუაციის შეფასება, დასკვნის ჩამოყალიბება და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება“. რამდენად არის აღწერილი დარგობრივი (ან თუნდაც ზოგადი) კომპეტენცია, რომელიც შეიძლება კონკრეტული პროგრამის (ამ

შემთხვევაში ფსიქოლოგიის) ფარგლებში ისწავლოს სტუდენტმა? რეკომენდებულია, უფრო დეტალურად გაიშალოს, რა იგულისმება ამ კომპეტენციაში, რათა ორაზროვანი და ბუნდოვანი ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლეოდეს მოცემული ტექსტი.

1.4. კომუნიკაციის უნარების ჩამონათვალში ვკითხულობთ (გვ.9): „კომუნიკაცია უცხო ენაზე ფსიქოლოგიის სფეროში ....“ პროგრამაში უბრალოდ არ არის დარგობრივი ინგლისური ენა, რაც საეჭვოს ხდის ამ კომპეტენციის პროგრამის რესურსებით მიღწევას. ამიტომ, კავლიფიკაციის ჩარჩოს კვალიფიკაციის აღმწერის და ასევე ამ საგანმანათელბლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია შესაბამისი კურსის დამატება.

1.5. ღირებულებების ნაწილში (გვ. 9) მოცემულია კომპეტენცია „საკუთარი იდეების განვრცობა როგორც პროფესიულ წრეში, ასევე სამოქალაქო საზოგადოებაში“. ეს ა) ძალიან ბუნდოვანია და ბ) კომუნიკაციის უნარი უფროა, ვიდრე -- ღირებულება.

1.6. ასევე, ღირებულებების ნაწილში იქვე: „კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს მყარი პიროვნული ღირებულებები და შეუძლია მათი დაცვა“. საეჭვოა, ერთი (თუნდაც მაღალი დონის) საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში პიროვნული ღირებულებების გამომუშავება. ამასთან, ფორმულირება ბუნდოვანია და ამიტომ რეკომენდებულია ამ ნაწილის ამოღება პროგრამის სწავლის შედეგებიდან.

1.7. და ბოლოს, იქვე: „კურსდამთავრებული ეცნობა და მყარად ითვისებს პროფესიული ეთიკის ნორმებს, დარგში დაკანონებულ ეთიკურ პრინციპებს და იცავს მათ.“ აღნიშნული კომპეტენციის ფორმულირება არ არის ღირებულება. ერთი ნაწილი ცოდნა-გაცნობიერებაა, ხოლო მეორე („იცავს მათ“) -- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

1.8. კურსის „მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება (SPSS)“ სილაბუსში ძირითად მასალად მოცემულია 1990 წელს გამოცემული სახელმძღვანელო, აღნიშნული ლიტერატურა უნდა შეიცვალოს უახლესი ლიტერატურით.

2. სასურველია, ყველა ტექსტი (პროგრამის აღწერა, თვითანგარიშის კითხვარი, სილაბუსები) გამართულად და უშეცდომოდ იყოს დაწერილი. ტექტსში გვხვდება მექანიკური შეცდომები, რაც ნამდვილად მარტივად გასწორებადია.

3. პროგრამაში წარმოდგენილია ზოგადი ბაკალავრიატის კურსი პრეკალკულუსი რეკომენდებულია: პრეკალკულუსისთვის არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსის მინიჭება. რადგან სასწავლო კურსის როლი არსებითად არ განსაზღვრავს კვალიფიკაციის მინიჭებისათვის საჭირო ცოდნასა და უნარებს.

4. მართალია, პროგრამაში წარმოდგენილია კურსი „თავის ტვინის ფუნქციური ანატომია“, ალბათ, უკეთესი იქნებოდა, თუ სტუდენტებისთვის შეეთავაზებინათ კურსი „ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები“ (ან ნებისმიერი სხვა დასახელების კურსი, რომელიც ფსიქოლოგიური ფუქნციონირების ბიოლოგიურ საფუძველს ასახავდა), რაც გაცილებით სრულ წარმოდგენას შეუქმნის სტუდენტებს ადამიანის ფუნქციონირებისადმი უახლესი ინტეგრაციული ბიოფსიქოსოციალური მოდელის შესახებ.

5. მთელი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითად (მაგალითად, „პიროვნების ფსიქოლოგია 1“ და „პიროვნების ფსიქოლოგია 2“) ან დამხმარე (მაგალითად, ნეიროფსიქოლოგია) ინგლისურენოვანი ლიტერატურაა მითითებული, რაც დარგობრივი ენის ცოდნას მოიაზრებს და კურსზე დაშვების წინაპირობადაც არის წარმოდგენილი. თუმცა, პროგრამის ფარგლებში სტუდენტს არ მიეწოდება დარგობრივი ინგლისური ენა.

რაც შეეხება სხვა (გერმანულ, ესპანურ და რუსულ) ენებს, გერმანულისა და ესპანურის შეფასება გაჭირდა ექსპერტების არაკომპეტენტურობის გამო, ხოლო რაც შეეხება რუსულ ენას, აქ მხოლოდ ეკონომიკისა და ბიზნესის დარგობრივი ენის სილაბუსი იყო მოცემული ფსიქოლოგიის პროგრამაში. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია პროგრამაში დარგობრივი ინგლისურის (და სხვა ენების) შეტანა.

6. ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში რეკომენდებული ცვლილებებისა და დაზუსტებების შეტანა და/ან მოდიფიკაცია, კერძოდ:

6.1. პროგრამის ზოგადი ბაკალავრიატის მოდულში წარმოდგენილია აკადემიური წერის სავალდებულო კურსი. (შენიშვნა: ამ კურსის სილაბუსი არ მოიძებნა ელექტრონულ მასალებში და ადგილზე იქნა წარმოდგენილი). ამ კურსის მიზანი, შინაარსი და შედეგები მეტადაა შესაბამისობაში მოსაყვანი. კურსის მიზანში, უპირატესად, ქართული ენის გრამატიკის ათვისებაზეა აქცენტი გაკეთებული, თუმცა ეს შინაარსში მხოლოდ ერთი კვირის თემას წარმოადგენს. ამასთან, კურსის შინაარსი ნაკლებად შეესაბამება აკადემიური წერის თემატიკას, ვინაიდან უფრო ზოგადი მიმოხილვითი კურსის შთაბეჭდილებას ტოვებს სილაბუსიდან გამომდინარე, ვიდრე მკაფიოდ გამოკვეთილი წერითი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მიმართული კურსისას. უფრო კონკრეტულად:

6.1.1. კურსის ფარგლებში სტუდენტები არ სწავლობენ (კურსის შინაარსიდან გამომდინარე) არც ერთი ტიპის აკადემიური ნაშრომის წერას, იქნება ეს არგუმენტირებული ესე, კრიტიკა, ანალიტიკური რეფერატი თუ სხვა; თუმცა, სწავლის შედეგებში წერია, რომ სტუდენტს ეცოდინება არგუმენტირებული ესეს წერა.

6.1.2. კურსის აღწერასა და შინაარსში ნათქვამია, რომ სტუდენტები ისწავლიან თემის წერას. რას ნიშნავს თემის წერა? რა ტიპის თემის წერაზეა საუბარი? რამდენად არის ე. წ. თემა აკადემიური ნაშრომი? ფორმულირება ძალიან ზოგადი და ბუნდოვანია და არ ჩანს, რა კომპეტენციას იძენს სტუდენტი.

6.1.3. სხვადასხვა თემაზე მიმოწერის წარმოებისა და საქმიანი ქაღალდების შედგენის უნარ-ჩვევების გამომუშავება ნამდვილად არ არის აკადემიური წერის სფერო. ამასთან, ეს უნარები მხოლოდ სწავლის შედეგებშია აღწერილი და შინაარსში მათ შესახებ საერთოდ არ არის საუბარი.

ამ ყოველივედან გამომდინარე, რეკომენდებულია აკადემიური წერის კურსის მეტად მორგება სოციალური მეცნიერებისთვის რელევანტური აკადემიური ნაშრომების წერილობით შესრულების უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

6.2. სასწავლო კურსის „ფსიქოლოგიის საფუძვლები 2“ მიზნებში ვკითხულობთ, რომ სტუდენტი ეცნობა კვლევის სფეროსა და მეთოდოლოგიას (ბ პუნქტი), თუმცა კურსის შინაარსში ასეთი თემა არსად გვხვდება. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ეს „ფსიქოლოგიის საფუძვლები 2“-ის თემაა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში გაპარულია მექანიკური შეცდომა, რაც ადვილად გასწორებადია.

7. პროგრამის მიზნებში ვკითხულობთ: „კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს მცირე მასშტაბიანი კვლევების დაგეგმვის, განხორციელების, მიღებულ მონაცემთა ბაზისურ დონეზე სტატისტიკური დამუშავების, ანალიზის, ინტერპრეტაციის და პრეზენტაციის უნარი“. ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია პროგრამაში სათანადო სასწავლო კურსების

ჩართვის გარეშე, რომლებიდანაც თითოეული ცალკე აღებული და მთლიანობაში ამ მიზნის შესატყვის სწავლის შედეგებს მოგცემს.

პროგრამაში ამისათვის არის რამდენიმე კურსი: ზოგადი სტატისტიკა, ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 1, ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 2, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება (SPSS) და საბაკალავრო ნაშრომი. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად წარმოდგენილია ამ მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი და საკმარისი კურსები, სილაბუსების შესწავლით ვლინდება, რომ ამჟამინდელი სახით ნაკლებად მოსალოდნელია აღნიშნული მიზნის მიღწევა. უფრო კონკრეტულად:

7.1. ზოგადი სტატისტიკა: იხ. ზემოთ, პუნქტი 3.2.

7.2. ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 1 და ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 2:

7.2.1. იხ. სტანდარტი 1. 3, მესამე.

7.2.2. ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 1: კურსის სილაბუსში 10-დან 15 კვირის ჩათვლით გაწერილი თემები, მაგალითად, დასკვნით სტატისტიკა, ალბათობა და ნორმალური განაწილება; ცენტრალური ტენდენციის საზომები, გაზომვის სკალები, ჰიპოთეზების შემოწმება და ა. შ., სტატისტიკაა და არა -- კვლევის მეთოდები. ამიტომ, უმჯობესი იქნება, თუ ისინი სტატისტიკის კურსის ფარგლებში გადავა, ხოლო გამონთავისუფლებული საათები/დრო დაეთმობა სილაბუსში ჩამოთვლილ მეთოდებს, მაგალითად, დაკვირვებას, კონტენტ ანალიზს, კითხვარებს. მით უმეტეს, რომ თითოეული მეთოდის სწავლება ერთი მეცადინეობის ფარგლებში პრაქტიკულად შეუძლებელია, თუ მეთოდის სწავლება მხოლოდ თეორიულ მიმოხილვას არ გულისხმობს.

7.2.3. ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 2: კურსის ორი მესამედი (პირველი 11 კვირა) (და კიდევ 1 კვირა ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 1-ში) ეთმობა ექსპერიმენტის დეტალურ განხილვას მაშინ, როდესაც პროგრამაში ცალკე სავალდებულო კურსის სახით არის წარმოდგენილი ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. გარდა ამისა, ამავე კურსის მე-6-ე კვირა ეთმობა გამოკითხვასა და ინტერვიუს. 1- ეს ორი სხვადასხვა მეთოდია და შეუძლებელია ერთ კვირაში ორი თემის დაფარვა 2,, ეს თემები უკვე განხილულია ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 1-ის ფარგლებში. ისევ დუბლირებასთან გვაქვს საქმე. და ბოლოს, ამ კურსის სწავლის შედეგებში მხოლოდ ექსპერიმენტის ცოდნის შესახებ არის საუბარი.

ამრიგად, რეკომენდებულია გადაიხედოს ამ ორი კურსის შინაარსი, არარელევანტური საკითხები ამოღებულ იქნეს და შინაარსი ისე დალაგდეს, რომ ა) არ მოხდეს სხვა კურსების ან მათი ნაწილის დუბლირება და ბ) სტუდენტებმა რეალურად შეძლონ თითოეული დასახელებული მეთოდის შესახებ არა მხოლოდ თეორიული მასალის გაცნობა, არამედ მათი გამოყენების პრაქტიკული ბაზისური უნარ-ჩვევაც შეიძინონ.

7.3. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სილაბუსში 10-11 კვირები ეთმობა კორელაციური კვლევის განხილვას, რაც ნამდვილად არ არის ექსპერიმენტი. ამიტომ რეკომენდებულია ამ თემების კურსიდან ამოღება (და სტატისტიკის კურსში გადატანა).

7.4. მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება (SPSS)

7.4.1. იხ. სტანდარტი 1.3, მეორე.

7.4.2. კურსის მიზნის აღწერაში მოცემული მეორე ვრცელი აბზაცი სრულიად ზედმეტია, რადგან მასში არაფერია ნათქვამი კურსის მიზანზე ან მიზნებზე.

7.4.3. SPSS აბრევიატურაა და ნიშნავს: Statistical Package for Social Sciences ანუ სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისთვის. სილაბუსში ყველგან წერია: „მათემატიკური სტატისტიკის კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტი", რაც უბრალოდ შეცდომაა.

7.4.4. ვინაიდან ელექტრონული ფორმით სხვა სილაბუსი იყო წარმოდგენილი, ადგილზე ვიზიტისას კი -- სხვა, ამიტომ ჭირს განსაზღვრა, რომლის მიხედვით უნდა დაიწეროს რეკომენდაცია. თუ ელექტრონულად წინასწარ მოწოდებული ვარიანტით, მაშინ შემდეგი ორი კომენტარი არარელევანტურია, ხოლო თუ იმ ვარიანტით, რომელიც ადგილზე იქნა შემოთავაზებული, მაშინ: (ა) ცოდნა-გაცნობიერების მეორე პუნქტის მიხედვით სტუდენტს ეცოდინება „ემპირიული და ექსპერიმენტული მასალის..." ემპირიული მოიცავს ექსპერიმენტულსად, ამიტომ არ არის საჭირო ასე ცალკე გამოყოფა; (ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში ნათქვამია, რომ სტუდენტი ფუნდამენტური და პრაქტიკული ფსიქოლოგიური კვლევის დაგეგმვას და ჩატარებას ისწავლის, რას სრულიად შეუძლებელია ამ კურსის ფარგლებში. ეს კომპეტენციები არ არის წარმოდგენილი წინასწარ გადმოცემულ მასალაში.

7.4.5. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში ვკითხულობთ: „სტუდენტს შეეძლება: შესწავლილი მათემეტიკური მეთოდების გამოყენებით მონაცემთა დამუშავება; პროგრამული პაკეტის SPSS-ის გამოყენება სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისათვის." ძალიან ბუნდოვანია, კერძოდ რა კომპეტენციის გამომუშავებაზეა საუბარი და რეალურად რის გაკეთებას შეძლებს სტუდენტი, მაგალითად, შეძლებს სტანდარტული გადახრის გამოთვლას? ორ ცვლადს შორის კორელაციის დათვლას? ნიშანთა შეუღლების ცხრილის აგებას? რეკომენდებულია, ასეთი ბუნდოვანი ფრაზები არ იყოს კომპეტენციებისა და სწავლის შედეგების აღწერისას, რადგან მკითხველმა მაქსიმალურად ზუსტი წარმოდგენა შეიქმნას, რა შედეგებს იძლება მოცემული კურსი.

7.4.6. დასკვნის უნარში ვკითხულობთ: „შეეძლება შესასწავლი ობიექტის მდგომარეობის დამახასიათებელი ინფორმაციის საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გამოტანა". უბრალოდ გაუგებარია. რეკომენდებულია ამ ფრაზის ამოღება, პერიფრაზირება და/ან მოდიფიცირება, რომ გასაგები იყოს, რა კომპეტენციაზეა საუბარი.

7.4.7. კურსი ამჟამინდელი მდგომარეობით ვერ უზრუნველყოფს სტუდენტს იმ უნარ-ჩვევებითა და კომპეტენციებით, რაც პროგრამის მიზნებშია აღწერილი, კერძოდ, მონაცემთა ბაზისურ დონეზე სტატისტიკური დამუშავების, ანალიზის, ინტერპრეტაციის და პრეზენტაციის ცოდნასა და უნარებს. ასე მაგალითად, XI კვირას, სხვა თემასთან ერთად, აღწერითი სტატისტიკის მეთოდების თეორიული განხილვა, თუმცა არ არის დაკონკრეტებული, რომელ მეთოდებზეა საუბარი. ამასთან, არსად ჩანს ამ მეთოდების პრაქტიკული გამოყენების სწავლება. ასევე, დასკვნითი სტატისტიკიდან წარმოდგენილია მხოლოდ რეგრესიული ანალიზი. გაუგებარია, რა ლოგიკით უნდა ისწავლოს

სტუდენტებმა ჯერ თეორიულად და შემდეგ პრაქტიკულად ააგონ რეგრესიის მოდელი, როდესაც, სულ მცირე, ცვლადებს შორის წრფივი მიმართება და კორელაცია არ უსწავლიათ (ეს თემები საერთოდ არ არის კურსის სილაბუსში).

7.4.8. კურსი, ფაქტობრივად, ორი პარალელური ქვეკურსისგან შედგება. თეორიული მეცადინეობები (ლექციები) ეთმობა სტატისტიკას (უფრო სწორად, მის გარკვეულ ნაწილს, მაგალითად, კურსის მესამედი მხოლოდ ალბათობის თეორიის განხილვას ეთმობა), ხოლო პრაქტიკული მეცადინეობები -- SPSS-ის გამოყენების ზოგიერთი ასპექტის სწავლებას, თუმცა ამ ორ ნაწილს შორის, ფაქტობრივად, არ ჩანს კავშირი.

7.4.9. ცალკე აღსანიშნია ტერმინოლოგია და ენა, რომლითაც დაწერილია კურსის სილაბუსი, მაგალითად, გამოყენებულია ტერმინი „ამონარჩევი", რაც ქართულ ტერმინოლოგიაში უბრალოდ არ არსებობს და გამოიყენება ტერმინი „შერჩევა". ასევე, XII კვირაზე გვხვდება ფრაზა: „სტოლბისებური, მიერთებული და ხაზოვანი დიაგრამებისა და ჰისტოგრამების აგება" სრულიად დაუშვებელია ასეთი ტერმინოლოგიით სტუდენტისთვის მასალის მიწოდება.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

1.მოცემული სასწავლო კურსის ორ დამოუკიდებელ კურსად გაყოფა: სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი. შესაბამისად, სტატისტიკის კურსში შევა ის ბაზისური მასალა, რაც ფსიქოლოგს სჭირდება სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყენებისთვის ანუ ის, რისი ცოდნაც მას მონაცემთა ანალიზისთვის დასჭირდება (გაზომვის სკალები, ცენტრალური ტენდენციისა და ცვალდებადობის? საზომები, პარამეტრული და არაპარამეტრული მონაცემები, ნორმალური განაწილება, წრფივი მიმართება, კორელაცია, საშუალოების შედარება და ა. შ.). SPSS-ში მონაცემთა ანალიზის კურსი კი უკვე მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე იქნებოდა მიმართული. ამასთან, პირველი კურსი სავალდებულო უნდა იყოს, ხოლო მეორე -- არჩევითი, რადგან სტუდენტის არჩევანია, ეცოდინება თუ არა SPSS-ში მუშაობა, სტატისტიკა კი მინიმალურ სავალდებულო საგანთა ჩამონათვალშია ფსიქოლოგის ბაკალავრისთვის.

(1) კურსის მიზანი, შინაარსი და შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან, ხოლო კურსის შინაარსი ლოგიკურად დალაგდეს მარტივიდან რთულისკენ და თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებს შორის კავშრი არსებობდეს.

(2) გაიმართოს ქართული ტერმინოლოგია, რათა სტუდენტებმა მართებულად იმეტყველონ პროფესიული ენით, მით უმეტეს, რომ არსებობს ქართულ ენაზე მომზადებული სახელმძღვანელო სტატისტიკაში სოციალური მეცნიერებებისთვის, რომელშიც თითოეული ტერმინი დამუშავებული და განმარტებულია.

7.5. საბაკალავრო ნაშრომი: პროგრამის აღწერიდან და ადგილზე წარმოდგენილი საბაკლავრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციიდან ირკვევა, რომ საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტს არ მოეთხოვება ემპირიული კვლევის ჩატარება. სილაბუსში აღწერილ მიზნებსა და კომპეტენციებში საუბარია „კვლევითი საქმიანობის განხორციელების უნარ-ჩვევებზე", თუმცა, საერთოდ არ ჩანს, რომ სტუდენტს უწევს კვლევითი საქმიანობის განხორციელება.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომში მცირე მასშტაბის ემპირიული კვლევის შესრულების მოთხოვნის შეტანა, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს პროგრამის ფარგლებში ათვისებული თეორიული ცოდნის, პრაქტიკული ცოდნის, უნარ-ჩვევების ინტეგრაციას და თავმოყრას.

ექსპერტმა აღნიშნა აკადემიური პერსონალის სიმწირე, პროგრამა ძირითადად მოწვეული ლექტორების ხარჯზე ხორციელდება. ასევე ექსპერტმა დააკონკრეტა, რომ დასკვნაში არის საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია, არ არის ბმა თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის, ანუ რასაც სტუდენტი სწავლობს თეორიულ ნაწილში, სულ სხვა რამეს აკეთებს პრაქტიკულ კომპონენტში. მეტი ინტეგრაციაა საჭირო თეორიული და პრაქტიკული ნაწილების. გარდა ამისა, ის თეორიული მასალა, რასაც გადიან სტუდენტები, არ არის რელევანტური იმისა, რაც ფსიქოლოგიის ბაკალავრს უნდა ჰქონდეს გავლილი. ბევრი ისეთი საგანია, რომელიც არ სჭირდება სტუდენტს, ამიტომ ეს პროგრამა სერიოზულად არის ფორმაში მოსაყვანი და დასამუშავებელი. „სტოლბისებრი დიაგრამა" - ეს ტერმინი არ უნდა გვხვდებოდეს პროგრამაში და ქართული ტერმინოლოგია უნდა იყოს გამოყენებული. მით უმეტეს ყველა ტერმინოლოგია არსებობს ქართულად. ასევე გაუმართლებელია, რომ ემპირიულ კვლევა არ მოეთხოვება სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომის წერისას.

საბჭოს თავმჯდომარემ - გიორგი კამკამიძემ აღნიშნა: ტერმინოლოგიის გამოსწორება ნაკლებ პრობლემატურია, მაგრამ პრობლემა ექსპერიმენტულ კვლევებთან დაკავშირებითაა, ასეთი კვლევები უფრო იშვიათად ტარდება ვიდრე აღწერითი კვლევები როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო დონეზე. რამდენად შენარჩუნებულია ბალანსი? ფსიქოლოგიაში აღწერით კვლევებს სჭირდება არა უბრალო სტატისტიკა, არამედ მეტი ვარიაცია და ბევრი ფაქტორის გათვალისწინება. სხვანაირად, მხოლოდ ერთი პარამეტრის შესწავლით ვერ მივიღებთ სათანადო კვლევას. კამკამიძემ ჰკითხა ექსპერტს, თუ როგორაა ეს დაფარული და SPSS დაკავშირებით, რამდენადაა გამყარებული ლიცენზირებული ვერსიით მუშაობა.

ექსპერტის განმარტებით, რაც შეეხება პირველ კითხვას, ექსპერიმენტული კვლევის ლაბორატორიას ვერ მოვთხოვთ დაწესებულებას და არცაა სავალდებულო ბაკალავრიატის დონეზე ამის მოთხოვნა. ეს კვლევა არ ისახავს მიზნად რაიმე სიახლის შემოტანას, ახალი ცოდნის დადებას, არც განზოგადებას, რაიმეს დიპოპულაციას, აქ არის უბრალოდ პატარა შერჩევაზე საუბარი, სტუდენტმა უნდა იცოდეს რომ არსებობს დამატებითი ცვლადები. ამ ყველაფერს წესით სტუდენტი უნდა სწავლობდეს. მეორე კითხვას რაც შეეხება, ლიცენზირებული SPSS-ით არ მუშაობს პრაქტიკულად არავინ, როგორც წესი, უნივერსიტეტებს გატეხილი არალიცენზირებული SPSS-ები აქვთ, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აპირებენ ამ პროგრამაზე კონკურსის გამოცხადებას და მოწვეული ლექტორებიდან უმეტესობა მომავალში აკადემიურ პერსონალს დაემატება. ასევე განაცხადა, რომ ეთანხმება და იზიარებს რეკომენდაციებს. ნაწილი რეკომენდაციებისა უკვე იქნა გათვალისწინებული და ნაწილს პროგრამის ამოქმედებამდე გამოასწორებენ.

კვლევით კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ მეთოდები 1-თან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, მეთოდები 2-ს და ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას კი- ნაწილობრივ. იზიარებენ იმას, რომ მეთოდები 1 და 2 ში სტატისტიკის საკითხები შესამცირებელია, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ამოსაღები არ არის. დაწესებულების წარმომადგენლები იზიარებენ მოსაზრებას,

რომ გამოთავისუფლებული საათები უნდა გადანაწილდეს ბევრად უფრო საჭირო მეთოდებზე. ასევე მეთოდები 2-ში 2/3 დროის დახარჯვა ესპერიმენტის სწავლებას რაც შეეხება, დაწესებულების წარმომადგენელი ეთანხმება, რომ ჩასასწორებელია, მაგრამ სულ ამოღებას არ აპირებენ. რაც შეეხება იმას, რომ არ მოხდეს ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას და ექსპერიმენტის მეთოდს შორის გადაფარვა, ეს იქნება შეუძლებელი, რადგანაც ექსპერიმენტული ფსიქოლოგია სწავლობს და მომართულია კვლევების დაგეგმარებაზე, ემპირიული მასალის მოპოვებაზე. ექსპერიმენტი კი გახლავთ კვლევის ერთ-ერთი მეთოდი.

საბჭოს თავმჯდომარე არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ექსპერიმენტი არის ემპირიული მონაცემების შეგროვება. მას მიაჩნია, რომ ეს არის ექსპერიმენტის ჩატარების აქტიური პროცესი.

SPSS-თან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე , დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ იფიქრეს, ზუსტად რეკომენდაციის მიხედვით აესახათ ეს საკითხი პროგრამაში, თუ გადაეტანათ აქცენტი უფრო დაახლოებაზე და ინტეგრაციული ასპექტები წამოეწიათ წინ. მისი განმარტებით, ეს არის სამუშაო პროცესი.

ექსპერტმა ლილი ხეჩუაშვილმა ამ რეკომენდაციასთან მიმართებით დაამატა, რომ აღნიშნული საკითხი, რა თქმა უნდა, დაწესებულების გადასაწყვეტია, თუმცა ის ასწავლის დოქტორანტურის სტუდენტებს და მათაც კი უჭირთ სტატისტიკის ინტეგრირებულად სწავლება. ექსპერტისთვის გაუგებარი რჩება, რატომ უნდა ისწავლებოდეს SPSS, როდესაც ბაკალავრიატის საფეხურზე თვისებრივ კვლევაში საერთოდ არ არის საჭირო და უკეთესი იქნებოდა არჩევით მოდულში იქნას ეს კურსი შეთავაზებული.

ექსპერტმა ნინო დურგლიშვილმა პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა-, ექსპერტებმა დეტალურად იმუშავეს და თავიანთი ხედვა მიაწოდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. მას გულწრფელად სჯერა, რომ ადამიანებმა იშრომეს ამ პროგრამის შემუშავებისთვის და ახალი ხედვა მას გაამდიდრებს. ისინი მიტივირებულნი არიან განვითარებისთვის და რაიმე კატასტროფა არ ხდება ამ პროგრამაში. ჯერ წინასწარ ვერ გავიგებთ როგორ იმუშავებს პროგრამა და ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი მოტივირებულია პროგრამის განვითარებაზე და ყველა ახალ ხედვას იზიარებს, ამიტომ ექსპერტი დარწმუნებულია პროგრამის წარმატებაში.

საბჭოს წევრმა - თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, რომ როცა ერთ პროგრამას განიხილავს საბჭო, ის ასევე ფიქრობს სხვა პროგრამებზეც, ის მიესალმება იმას, რომ პროგრამის ხელმძღვანელები პროგრამის გაუმჯობესებაზე არიან ორიენტირებული. კითხვა მდგომარეობს შემდეგში: ტექნიკურად ეს საგნები ამ პროგრამისთვის არის შექმნილი თუ სხვა კურსებში გაქვთ და აქაც ასწავლითო. ცალკე არის სტატისტიკის კურსი თუ სპეციალურად არის ამ ამ პროგრამისთვის გაკეთებული.

დაზუსტდა, რომ სპეციალურად ამ პროგრამას არის აღნიშნული კურსი მორგებული.

ამას მოყვა საბჭოს შემდეგი შეკითხვა ექსპერტების მისამართით - სავარაუდოდ, ამან განაპირობა, რომ არ არის ბევრი აკადემიური პერსონალი პროგრამაზე და რამდენად შეძლებენ მოწვეული ლექტორები სათანადო დროის და რესურსის დათმობას ამ პროგრამისთვის, მით უმეტეს, რომ ისინი სავარაუდოდ სხვა უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალს წარმოადგენენ.

ექსპერტ ნინო დურგლიშვილის თქმით, ინტერვიურების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ ლექტორებს აქვთ თანამშრომლობის დიდი სურვილი.

ექსპერტ ლილი ხეჩუაშვილის განმარტებით, ფსიქოლოგები ბევრნი არ არიან და თითქმის ყველა კერძო უნივერსიტეტში ერთი და იგივე აკადემიური პერსონალი ხვდებათ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხზე შემდეგი კომენტატი გააკეთა - პროგრამაზე ჩართულ ადამიანებს აქვთ მოტივაცია ერთად მუშაობის და გამოცდილებაც და ამიტომ დათანხმდნენ ამ პროგრამაზე მუშაობას.

ექსპერტმა ნინო დურგლიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ კვალიფიციური ფსიქოლოგებს, რომლებიც არ არიან თსუ-სა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებულები, ნაკლებად აქვთ საშუალება ხანგრძლივად განახორციელონ კვლევითი საქმიანობა და მოახდიონონ თავიანთი თავის რეალიზაცია. ევროპის სასწავლო უნივერსიტეტმა კი გამოთქვა სურვილი და მზაობა შეუქმნას მათ ყველა პირობა და ეს არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ამ პროგრამის განხორციელებისა.

9. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	მენეჯმენტი
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0203
კრედიტების რაოდენობა:	120

ექსპერტებმა გიორგი ღაღანიძემ და ციური დურულმა ხაზი გაუსვეს, რომ დეტალურად გაეცნენ ინფრასტრუქტურას, სილაბუსებს და პროგრამამ დატოვა კარგი შთაბეჭდილება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვოდა პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც გამოცდილი სპეციალისტია. ასევე პროგრამაში ჩართული იყო ბევრი ახალგაზრდა დოქტორანტი და მაგისტრი, რაც ასევე დადებითად აისახებოდა პროგრამის განხორციელებაზე.

ექსპერტებმა საბჭოს წაუკითხეს შემდეგი რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში სასწავლო დისციპლინების დასახელების დაზუსტება, რაც მკვეთრად გამიჯნავს მათ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსებისაგან, კერძოდ: სასწავლო კურსებს - გაყიდვების მენეჯმენტი და ოპერაციების მენეჯმენტი მიეთითოს II დონე - მაგისტრებისათვის; ადამიანური რესურსების მენეჯმენტის კურსში უფრო გაღრმავდეს კროსკულტურულ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა.
- მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სილაბუსებში აისახოს უახლესი სამეცნიერო სტატიები სასწავლო კურსების თემატიკის შესაბამისად.
- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების მიმართულებით მოხდეს მემორანდუმების დამატებით გაფორმება ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებთან.

ექსპერტებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი, რომ დასკვნა დადებითია, ვინაიდან სასწავლო კურსები და ლიტერატურა ახალი და თანამედროვეა. ხოლო რეკომენდაციებში სამეცნიერო სტატიების ჩადება, განაპირობა იმან, რომ მენეჯმენტი განვითარებადი დარგია და სასიკეთოდ წაადგება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ იზიარებს რეკომენდაციებს და აუცილებლად გაითვალისწინებს მათ.

10. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	სამართალი
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სამართლის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	06
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტმა ზვიად როგავამ.

შემუშავებულ იქნა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი „სტრატეგიული მენეჯმენტი" შეიცვალოს სამართლის სამაგისტრო პროგრამისათვის რელევანტური სასწავლო კურსით, მითუმეტეს, რომ სასწავლო კურსის „სტრატეგიული მენეჯმენტის" წინაპირობას, ზოგადი მენეჯმენტი წარმოადგენს, რაც სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს საბაკალავრო პროგრამის ეტაპზე გავლილი არა აქვს.
- თემატიკიდან და სავალდებულო ლიტერატურიდან გამომდინარე სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული სამართალდარღვევები" სასურველია გადატანილი იქნეს საბაკალავრო ეტაპზე.
- სასწავლო კურსის „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის რეგულირების" სილაბუსით გათვალისწინებული თემატიკა სრულყოფილად არ პასუხობს სასწავლო დისციპლინის სათაურს, ვინაიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ" დეტალურად არ აწესრიგებს საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებებს და არეგულირებს მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების საფუძვლებსა და გამყიდველისა და მყიდველის იმ უფლება-მოვალეობებს, რომელსაც ეს ხელშეკრულება წარმოშობს. სასურველი იქნება სასწავლო კურსის მიზნებისთვის სალექციო კურსმა მოიცვას სხვა ისეთი საერთაშორისო კერძო-სამართლებრივი აქტებიც, როგორებიცაა ევროკავშირის მიერ შემუშავებული „ევროპის სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპები", პარიზის სავაჭრო პალატის მიერ დადგენილი საერთაშორისო სავაჭრო წესები „International Commercial Terms", აგრეთვე გაეროს საერთაშორისო კომერციული პრინციპები „UNIDROIT". პრაქტიკული თვალაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ელექტრონული ხელშეკრულების დადების სპეციფიკა ელექტრონულ ვაჭრობასთან მიმართებაში, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს სიღრმისეულად გააანალიზოს საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის რეგულირების თავისებურებანი. ამასთან, აღნიშნული სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელო - სახელშეკრულებო სამართალი,

სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, ავტორთა კოლექტივი (რედაქტორი – გიორგი ჯუღელი), გამომცემლობა მერიდიანი, 2014 - არ გამოიყენება ამავე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული არცერთი საკითხის შესწავლისას.

- სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსებში ნორმატიულ აქტებს მიეთითოს მათი მიღების თარიღი, ასევე სსიპ- საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შესაბამისი ბმული.
- სპეციალობით მომუშავე სტუდენტებისთვის სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა კლინიკური სწავლების ნაცვლად ითვალისწინებდეს კრედიტის ალტერნატიულად დაგროვების შესაძლებლობას, თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.
- სასწავლო კურსების „International Investment Law" და „საინვესტიციო სამართალი"-ს მიზნები, შედეგები და თემატიკა ძირითადად იდენტურია. სასწავლო კურსებს შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს სწავლების ენაში. შესაბამისად, სტუდენტს არ უნდა მიეცეს ორივე სასწავლო კურსის არჩევის შესაძლებლობა.
- სასწავლო კურსების „არასაპატიმრო სასჯელები და ვადამდე გათავისუფლების სისტემა" და „სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების საფუძვლები"-ს თემატიკა გარკვეულწილად ფარავს ერთმანეთს. სასურველია, აღნიშნული სასწავლო კურსები გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსად.
- „სამოქალაქო განათლების პრაქტიკული კურსი (Street Law)"-ს სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა (მითითებულია მხოლოდ 3 საკანონმდებლო აქტი) ვერ უზრუნველყოფს ამავე სილაბუსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. აღნიშნული კომპონენტის სილაბუსის თემატიკა უნდა აიგოს ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2008 წელს შემუშავებული ტრენერების სახელმძღვანელოს საფუძველზე - პრაქტიკული სამართლის სწავლება საქართველოში. შესაბამისად, უნდა გაფართოვდეს აღნიშნული კომპონენტის როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი ლიტერატურა.

ხელმძღვანელის განმარტებით, პროგრამა გამორჩეულია, რადგანაც ცდილობენ ევროპული და ამერიკული სწავლების კომპონენტების შემოტანას. რიგ საკითხებში პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს, ხოლო სტრატეგიულ მენეჯმენტთან მიმართებაში განმარტა, რომ კურსი ადაპტირებულია იურისტებისთვის, თუმცა უკეთ გამოხატვისთვის არ გამორიცხავს სახელწოდების კორექტირებას. რაც შეეხება კურსის შინაარსს, ის აგებულია სამართლის სტუდენტებისთვის, ანუ შინაარსობრივად ეს კურსი ადაპტირებულია და განკუთვნილია იურისტებისთვის.

მესამე რეკომენდაციის საპასუხოდ, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსის - „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის რეგულირების" შინაარსობრივ მხარესთან მიმართებით მიცემული რეკომენდაციებით გათვალისწინებული საკითხების ნაწილი საერთაშორისო კომერციული სამართლის კურსში ისწავლება და ამიტომ არ არის აღნიშნულ კურსის სილაბუსში შეტანილი. სასწავლო კურსის სილაბუსის შინაარსში ცვლილებები ისე უნდა შევიდეს, რომ საერთაშორისო სამართლის კურსი შინაარსობრივად არ გადაკვეთოს.

ექსპერტთა ჯგუფის მეექვე და მეშვიდე რეკომენდაციები დაწესებულების წარმომადგენლებმა სრულად გაიზიარეს და გამოთქვეს მზაობა, გაასწორონ ხარვეზები პროგრამაში.

რაც შეეხება ბოლო რეკომენდაციას - სამოქალაქო განათლების პრაქტიკული კურსთან მიმართებაში, დაწესებულების წარმომადგენელმა დააკონკრეტა, რომ ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო ტრენერებისთვისაა განკუთვნილი, თუმცა გამოთქვა მზაობა, მოხდეს მისი ჩამატება სილაბუსში.

11. შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	**საზოგადოებრივი ურთიერთობები**
განათლების საფეხური:	**მაგისტრატურა**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	**საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრი**
სწავლების ენა:	**ქართული**
კვალიფიკაციის კოდი:	**070302**
კრედიტების რაოდენობა:	**120**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა თორნიკე გურულმა.

დასკვნა მოიცავდა შემდეგი სახის რეკომენდაციებს:

- მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზარზე მეტი ორიენტირებულობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მეტი კონკრეტიზაციისათვის განხორციელდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების კომპლექსური შესწავლა კვლევის შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით;
- მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამაზე ისწავლებოდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის კლასიკური თეორიები, რათა სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ, გაიაზრონ საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი მიმართულებები.
- აუცილებელია სტუდენტები დაეუფლონ კვლევის მეთოდებსაც და ცალკე სასწავლო კურსად იქნას ჩამოყალიბებული კვლევის მეთოდები. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროგრამის მიზანი, სტუდენტმა შეძლოს ორგანიზაციის პიარის სტრატეგიისა და ტაქტიკის შედგენა, რთულად მისაღწევი იქნება.
- მნიშვნელოვანია, რომ ცალკეული სასწავლო კურსების სწავლება მოხდეს პიარის კუთხით. მაგალითად ადამიანური რესურსების მართვა განხორციელდეს ინტერნალ ბრენდინგის (შიდა კომუნიკაციის) კონცენტრაციით, პროექტის მენეჯმენტი - პიარის პროექტების მართვის კუთხით;
- მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციული სამართლის სასწავლო კურსის შინაარსი ჩაანაცვლოს ისეთმა თემებმა, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალობისათვის. მაგალითად, კანონი რეკლამის შესახებ. ასევე განხილული იქნას რეგულაციები საავტორო უფლებების შესახებ.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში: პიარი, მასმედია და სოციალური მედია, უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს სოციალური მედიის კომპონენტს.
- არჩევით კურსში ვხვდებით ისეთ სასწავლო კურსს, როგორიცაა გარემო და მდგრადი განვითარება, რომელშიც საზოგადოებასთან ურთიერთობის მომავალი სპეციალისტები

სწავლობენ ისეთ თემებს, როგორიცაა მდინარე არაგვის აუზის დაბინძურების ანტროპოგენური ფაქტორები, ოზონის შრის გაფართოება და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ ამ სასწავლო კურსის ნაცვლად სტუდენტებს შეეთავაზოს სოციალური კამპანიების დაგეგმარების სასწავლო კურსი.

- სასწავლო კურსში „პიარის სტრატეგია და ტაქტიკა მე-12 და მე-15 კვირის შინაარსი აბსოლუტურად იდენტურია. მნიშვნელოვანია გასწორდეს ეს ტექნიკური ხარვეზი და სტუდენტებს ორ სხვადასხვა კვირაში ერთი და იგივე შინაარსი არ იყოს შეთავაზებული.
- მნიშვნელოვანია, სასწავლო კურსები დაეყრდნოს სფეროში არსებულ აქტუალურ ლიტერატურას.

დაწესებულების წარმომადგენლის, განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის ყველა რეკომენდაცია მათი ვიზიტისას იქნა გათვალისწინებული,და ეცნობა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, საბჭოზე კინ წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა საჭიროდ ჩათვალა აესხნა ვითარება -- რომ, მოხდა ორი დიდი კომპანიის რეორგანიზაცია და პროგრამას ჰყავს ახალი ხელმძღვანელები, რომლებიც მანამდე არ იყვნენ ჩართულები პროგრამის შემუშავებაში. ასევე გამოთქვა უკმაყოფილება, რომ ინტერვიუირების ეტაპზე ვერ მოხდა საკითხების მკაფიოდ გამოკვეთა მათი მხრიდან, რადგან შვებულების პერიოდი დაემთხვა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტს.

დაწესებულების მეორე წარმომადგენელმა საჭიროდ ჩათვალა პროგრამის შესახებ მოეხსენებინა საბჭოსთვის. მისი განცხადებით, პროგრამაზე მუშაობის პერიოდში ჩატარდა ბაზრის კვლევა, დაიგზავნა შესაბამისი კითხვარები, გაიარეს რეკომენდაციები საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალისტების ჯგუფთანაც, რომლებიც ასევე ჩართულები იყვნენ პროგრამის დამუშავებაში. რაც შეეხება პროგრამის შინაარსობრივ მხარეს, დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტებს, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობები სწრაფად განვითარებადი დარგია და საჭიროა, თეორიები ისწავლებოდეს. მან განმარტა,რომ პროგრამაზე არის კურსი - პიარის ტექნიკა და ეს კურსი მოიცავს ზოგად თეორიებს. ექსპერტებმა ურჩიეს პროგრამის ხელმძღვანელებს ახალი უცხოენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენება, რომლის თარგმნაზე და რიდერების შემუშავებაზეც აქტიურად აპირებენ მუშაობას.

რაც შეეხება, კონკრეტულ კურსებს, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სოციალური კვლევის მეთოდები არჩევით მოდულში იყო, მაგრამ ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე მოხდა მისი ძირითად მოდულში გადატანა. რაც შეეხება - ადამიანური რესურსების მართვას, ის ძირითად მოდულში იყო და მოხდა ამ სასწავლო კურსის არჩევით მოდულში გადმოტანა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პიარის სტრატეგია და მართვა მოიცავს პიარ პროექტების მართვასაც და ამ მიმართულების გაძლიერებაზეც იზრუნებენ. ასევე ექსპერტთა რეკომენდაციების თანახმად, მოხდება „კანონის რეკლამის შესახებ“ სწავლება. სასწავლო კურსში: პიარი, მასმედია და სოციალური მედია, უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა და გაძლიერდება სოციალური მედიის კომპონენტი. სასწავლო კურსში „პიარის სტრატეგია და ტაქტიკა“ მე-12 და მე-15 კვირის შინაარსთან დაკავშირებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზი გასწორდა. რაც შეეხება, ლიტერატურას, დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს უახლეს ლიტერატურაზე მუშაობას, თარგმნას და რიდერების შედგენას.

დაწესებულება ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და პროგრამის დახვეწაზეა ორიენტირებული.

12. შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	**ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი**
განათლების საფეხური:	**მაგისტრატურა**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	**ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი**
სწავლების ენა:	**ქართული**
კვალიფიკაციის კოდი:	**020301**
კრედიტების რაოდენობა:	**120**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა თორნიკე გურულმა.

დასკვნა მოიცავდა შემდეგი სახის რეკომენდაციებს:

- მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზარზე მეტი ორიენტირებულობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მეტი კონკრეტიზაციისათვის განხორციელდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების კომპლექსური შესწავლა კვლევის შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით;
- მიზანშეწონილია პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდულში ,,ლიდერობის" (5 კრედიტი) დისციპლინის ნაცვლად გათვალისწინებული იქნეს მენეჯმენტის მიმართულების ისეთი მნიშვნელოვანი დისციპლინები, როგორიცაა რისკების მართვა და ოპერაციების მენეჯმენტი (სწავლის იმ შედეგების გათვალისწინებით, რომელიც შესაძლებელია მიიღოს სტუდენტმა აღნიშნული დისციპლინების შესწავლისას), რისი საჭიროებაც, პოტენციურმა დამსაქმებლებმაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებისას დაადასტურეს;
- საგანმანთლებლო პროგრამის ერთერთი სწავლის შედეგი კომუნიკაციის უნარების სახით ითვალისწინებს ,,კავშირის დამყარებას როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე ტურისტული ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ თანამშრომლობის მიზნით", რისთვისაც პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობაა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული - ინგლისური ენის (B2) დონის გამოცდის ჩაბარება, თუმცა შემდგომი სწავლის პროცესში სტუდენტებს პროგრამის სავალდებულო დისციპლინის სახით არ მიეწოდებათ არც ერთი დისციპლინა ინგლისურ ენაზე, არც ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურა ცალკეულ დისციპლინებში. გამომდინარე აქედან, ამ მოცემულობით ვერ მიიღწევა კვალიფიკაციის ჩარჩოს აღმწერით განსაზღვრული უცხო ენის ფლობის დონის შესაბამისობა და არც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები. შესაბამისად, მიგვაჩნია რომ აუცილებელია პროგრამის არჩევითი კურსების მოდულში წარმოდგენილი ბიზნეს

კომუნიკაციების (ინგლისურ ენაზე) დისციპლინა გადავიდეს სავალდებულო დისციპლინების მოდულში, ასევე საჭიროა ცალკეულ დისციპლინებში კვალიფიკაციის ჩარჩოს კვალიფკაციის აღმწერის (მაგისტრატურის დონეზე) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურის გამოყენება;

- კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობისთვის საჭიროა პროგრამის სავალდებულო დისციპლინების ფარგლებში გათვალისწინებული იქნეს თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრიისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიების (პროგრამების) შესწავლა, როგორიცაა ამადეუსი, ფიდელიო, ოპერა, ე.წ. booking-ის სიტემა და ა.შ. სასურველია მეტი კონცენტრირება თანამედროვე ტურიზმის ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა ე.წ. MICE ტურიზმი; ასევე რეკომენდებულია მაგისტრებისათვის რუსულის, როგორც მეორე უცხო ენის შეთავაზება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის შრომის ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობას;
- სასურველია უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა დაიტვირთოს ფუნქციონალური თვალსაზრისით (დაემატოს სხვა ფუნქციები, გარდა ნიშნების ელ. ფორმატში შეტანისა), რაც, კიდევ უფრო გაზრდის სტუდენტის ინფორმირებულობის დონეს და ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესების ეფექტიანი ადმინისტრირების განხორციელებას;
- საჭიროა პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ სავალდებულო სასწავლო მასალებში წარმოდგენილი იქნეს თანამედროვე უცხოურენოვანი (მოცემულ შემთხვევაში რეკომენდებულია ინგლისურენოვანი) სასწავლო მასალები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება სწავლების მეორე საფეხურის მოთხოვნებთან, ითვალისწინებენ თანამედროვე სამეცნიერო კვლევების შედეგებს და ხელს შეუწყობენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მაღალ დონეზე მიღწევას;

ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ დამსაქმებლებღთან გასაუბრებისას, გამოიკვეთა რომ დამსაქმებელი ითხოვდა რუსულის და ინგლისურის ცოდნას, რაც პროგრამით არ არის გათვალისწინებული.

შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის იურისტმა ისაუბრა მათი ელექტრონული ბაზის სისტემაზე, უნივერსიტეტმა შეიძინა ახალი პროგრამა, ასევე მიდის მუშაობა, რუსულ ენასთან დაკავშირებით. აღნიშნეს, რომ ექსპერტთა რეკომენდაციები გაითვალისწინეს, დარგის საინფორამციო ტექნოლოგიებთან მიმართებაში, დემო ვერსიები შეიძინეს. კომპანია „სოფია თრეველი" იღებს ვალდებულებას, რომ სწავლება განახორციელოს თავიანთ ორგანიზაციებში.
პროგრამის ხელმძღვანელმა კი ყურადღება გაამახვილა სასწავლო პროგრამაში შეტანილ ცვლილებებზე: „ლიდერობა" გადაიტანეს არჩევით მოდულში, ისევე, როგორც რუსული ენა, ხოლო ბიზნეს კომუნიკაციების (ინგლისურ ენაზე) დისციპლინა გადავიდა სავალდებულო დისციპლინების მოდულში, სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა გააძლიერეს ინგლისური ლიტერატურით.

13. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	ქართული ლიტერატურის ისტორია
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი (სპეციალობა: ფილოლოგია, სპეციალიზაცია: ქართული ლიტერატურის ისტორია)
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	100522
კრედიტების რაოდენობა:	120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები ფიქრია ვარდოსანიძემ წარადგინა საბჭოს წინაშე:

- სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი მიზანია, შეამეცნებინოს მაგისტრანტს ლიტერატურა, როგორც ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, თავისი ისტორიული, სოციალური, კულტუროლოგიური და ესთეტიკური ასპექტებით; დაანახოს მისი ადგილი დასავლურ-აღმოსავლურ ლიტერატურათა კონტექსტში, შეასწავლოს ქართული ლიტერატურის ჟანრობრივი სისტემა და ლიტარატურული მიმდინარეობანი დასავლურ-აღმოსავლურ სალიტერატურო პროცესთან ტიპოლოგიური მიმართულებისა და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით.

  ამ მიზნიდან გამომდინარე, შედეგის მისაღებად პროგრამის სასწავლო გეგმაში სავალდებულო სტატუსით ჩართულია სასწავლო კურსი: კომპარატივისტიკის პრობლემები და ქართული მწერლობა. სასურველი იქნება, არჩევითი სტატუსით დაემატოს ქართულ-აღმოსავლური, კერძოდ, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ამსახველი კურსი, რაც პროგრამას დაეხმარება ზემოაღნიშნული მიზნით განსაზღვრული შედეგის გამომუშავებაში.
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების კითხვარში ინტერნაციონალიზაციის პუნქტში (3.4) რატომღაც შეტანილია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო შრომებისა და სამეცნიერო პროექტების ჩამონათვალი.

  ექსპერტთა ვიზიტის განმავლობაში შევამოწმეთ უნივერსიტეტის პოტენციალი ამ მიმართულებით და მიგვაჩნია, რომ მათ აქვთ ამ კონკრეტულ პუნქტში შესატანი ინფორმაცია.

  საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მისიით გათვალისწინებულია საერთაშორისო თავისუფალ სამეცნიერო და საგანმანათლებლო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, მისი აქტიური წევრობა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს

კურსდამთავრებულთა ინტერგრირებას საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში, ამისთის უნივერსიტეტი სათანადო ძალისხმევას გაიღებს და სასურველია, ეს ინფორმაცია აისახოს თვითშეფასების კითხვარშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ტექნიკური ხასიათის ცდომილება იყო თვითშეფასების კითხვარში და აუცილებლად გასწორდებოდა. უნივერსიტეტს ჰქონდა კარგი შესაძლებლობა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისა Erasmus-ის პროექტით ლიტვის, ვარშავის და სხვა უნივერსიტეტებთან. აქტიურად თანამშრომლობდნენ თურქეთის უნივერსიტეტთან, საინგილოსთან. რაც შეეხებოდა ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ამსახველი სასწავლო კურსს, სილაბუსს მოამზადებენ და ჩართავდნენ პროგრამაში.

14. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის თეოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	თეოლოგია
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	თეოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	1003
კრედიტების რაოდენობა:	180

- გამოიკვეთა, რომ პროგრამის შედეგების მიღწევისა და მისანიჭებელი კომპეტენციების რეალურად განხორციელებისათვის სასურველი იქნებოდა, პროგრამაზე შემოსვლის წინ კვლევითი ქვედარგის ზუსტი განსაზღვრა და სპეციალობის მისაღები გამოცდის ჩაბარება ამ ქვედარგისთვის შესაბამისი პროგრამით;

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების კითხვარში ინტერნაციონალიზაციის პუნქტში რატომღაც შეტანილია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო შრომებისა და სამეცნიერო პროექტების ჩამონათვალი.

ექსპერტთა ვიზიტის განმავლობაში შევამოწმეთ უნივერსიტეტის პოტენციალი ამ მიმართულებით და მიგვაჩნია, რომ მათ აქვთ ამ კონკრეტულ პუნქტში შესატანი ინფორმაცია.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მისიით გათვალისწინებულია საერთაშორისო თავისუფალ სამეცნიერო და საგანმანათლებლო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, მისი აქტიური წევრობა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ინტერგრირებას საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში, ამისთის უნივერსიტეტი სათანადო ძალისხმევას გაიღებს და სასურველია, ეს ინფორმაცია აისახოს თვითშეფასების კითხვარშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათი სურვილი იყო, თანამედროვე პროტესტანტების თემები შეეტანათ, ჰყავდათ შესაბამისი სპეციალისტები, ვინც უხელმძღვანელებდა ამ დარგს.

თამარ ვბრეგვაძე დაინტერესდა გარდა შინაარსობრივისა კვლევითი კომპონენტი რას მოიცავდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ჩამოთვალა სწავლებისა და კვლევის პრინციპები.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ ალექსიძე დაინტერესა რომელი ბიბლიური ენა ისწავლებოდა პროგრამის ფარგლებში, როგორი მიღების წინაპირობები იყო. მისი აზრით მიღების წინაპირობებში უნდა ყოფილიყო ბიბლიური ენების ცოდნა.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა რატომ გადაწყდა სადოქტორო პროგრამის შექმნა მაშინ როცა სამაგისტრო არ ჰქონდათ და თუ ჰქონდათ სურვილი სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, როდესაც სადოქტორო პროგრამა მომძლავრდებოდა შემდგომ სამაგისტროსაც შეიმუშავებდნენ.

გია კამკამიძე დაინტერესდა მეცნიერულ კვლევებზე იქნებოდა ორიენტირებული პროგრამა თუ რწმენაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ქართული ლიტერატურის საფძველი იყო რწმენა, რაც აისახა ილიასა და აკაკის ლიტერატუარში. უნივერსიტეტი და კონკრეტულად პროგრამა რწმენისა და მეცნიერების ერობლიობას წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს ურჩია მიეწვიათ თეოლოგიაში განსწავლული ახალგაზრდა მეცნიერები.

15. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	მასწავლებლის მომზადების პროგრამა
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	60

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო ბალანჩივაძემ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ ჩატარებული იყო ბაზრის კვლევა და რეგიონში არსებობდა კადრების პრობლემა. ექსპერტმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა სკოლა და სტუდენტები პრაქტიკას აქ გაივლიდნენ. მან დაამატა, რომ გასაუბრების საფუძველზე ხულოსა და შუახევის საჯარო სკოლების დირექტორებთან, გამოიკვეთა კადრების დეფიციტი და დასაქმების მხრივ, აღნიშნული პროგრამის სპეციალისტები მოთხოვნადი იქნებოდნენ.

ექსპერტმა წარმოადგინა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ექსპერტთა რეკომენდაციით შიდასაუნივერსიტეტო საგამოცდო საკითხები წინასწარ უნდა იყოს ცნობილი სტუდენტებისათვის. ამიტომ, უმჯობესი იქნება, პროგრამაზე მისაღები გამოცდისათვის შემუშავდეს კონკრეტულ საკითხთა საგამოცდო ნუსხა, რაც საშუალებას მისცემს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის მსურველს ყურადღება გაამახვილოს კონკრეტულ საკითხებზე და წარმატებით მიაღწიოს პროგრამით განსაზღვრულ შედეგებს.
- არსებობს სპეციალური პროგრამები სამეცნიერო ლიტერატურის დიდი ბაზით, რომლებიც შესაძლოა უნივერსიტეტმა შეიძინოს ან რაიმე სხვა სახით გახადოს სტუდენტებისთვის მისაწვდომი, რაშიც აქტიურად ჩაებმებიან პროფესორ-მასწავლებლებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2006 წელს ის დაინიშნა ზემო აჭარის მღვდელმთავრად. იმის გამო, რომ ბევრი ახალგაზრდა ტოვებდა რეგიონს სწავლის მიზეზი, პატრიარქის გადაწყვეტილება იყო, გახსნილიყო აღნიშნული დაწესებულება, რათა ახალგაზრდებს საშუალება მისცემოდათ, უფასოდ ესწავლათ.მათ უკვე რომ 650 დიპლომირებული სპეციალისტი ჰყავდათ.

ექსპერტმა, ნინო ბალანჩივაძემ, დაადასტურა, რომ სწავლა ნამდვილად უფასო იყო.

15. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია და კოდი	კრედიტების რაოდენობა
ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	IV	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080377	90

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო ღაღანიძემ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ ვიზიტამდე სამი დღით ადრე ცენტრმა გამოაქვეყნა ახალი სტანდარტი, ხოლო შესამოწმებელი პროგრამები შექმნილი იყო ძველი სტანდარტის მიხედვით, მაგრამ როცა შეადარეს ექსპერტებმა თავსებადობა, აღმოჩნდა, რომ აკმაყოფილებდა ახალი სტანდარტის მოთხოვნებსაც. პროგრამის განვითარებისთვის ექსპერტებმა შეიმუშავეს რამდენიმე რეკომენდაცია:

- საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე: „ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების მეოთხე საფეხურის სპეციალისტის კვალიფიკაცია“ და „Clothing artistic design Specialist stage IV“. სასურველია, კვალიფიკაციის ინგლისური რედაქცია დაიხვეწოს და შესაბამისობაში მოვიდეს ამავე სპეციალობის მეხუთე საფეხურის ახალ სტანდარტთან, სადაც კვალიფიკაცია წარმოდგენილია შემდეგი რედაქციით: „Specialist of artistic construction of clothes“.პროგრამის სამომავლო განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მეტი ყურადღება დაეთმოს სამუშაო ადგილის ორგანიზებასა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, როგორც ეს სპეციალობის ახალი სტანდარტითაა განსაზღვრული.
- სასწავლო გეგმის მიხედვით უცხო ენის სწავლება იწყება მე–18 კვირიდან. სასურველია, ამ სასწავლო კურსის დაწყება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, რაც გაუადვილებს პროფესიულ სტუდენტს სასწავლო რესურსის ან საჭირო ინფორმაციის უცხო ენაზე მოძიებას და უკეთ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
- პროფესიულ პროგრამაზე იგეგმება 20 სტუდენტის მიღება. სტუდენტთა რაოდენობის

გათვალისწინებით, სასურველია, გამდიდრდეს სახელოსნოების ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ, დაემატოს შესაბამისი სპეციფიკაციის საკერავი მანქანები, რაც სწავლების პროცესში პრაქტიკული კომპონენტების შეუფერხებელ რეჟიმში ჩატარების საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს.

- დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პრაქტიკასთან ერთად კურიკულუმი ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკასაც, რომელსაც თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტსა და მცირე საწარმო- საქორწინო სალონ ,,ელლასთან"(ქ.თელავი) და შპს ,,ელსელემასთან"(ქ.თბილისი) დადებული მემორანდუმები უზრუნველყოფს, თუმცა, სასურველია, გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში დეტალურად გაიწეროს ხელშეკრულებები საწამოო პრაქტიკისთვის აუცილებელი საათების და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის მითითებით საწარმოო პრაქტიკის სილაბუსის შესაბამისად.

- სასურველია, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა უფრო მრავალფეროვანი იყოს და მოიცავდეს უახლესი პერიოდის გამოცემებს. ამ მიზნის განხორციელების ერთ–ერთი გზა შეიძლება იყოს თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან. მემორანდუმის ფარგლებში თელავის უნივერსიტეტი ყოველწლიურად მიიღებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის მეთოდურ სახელმძღვანელოებს, რომლებიც მომზადებულია და გამოცემულია აკადემიაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, შალვა ჭკადუამ აღნიშნა, რომ იზიარებდნენ რეკომენდაციებს და კონკრეტულად ზოლო რეკომენდაციის გათვალისწინება, რაზეც წინა ვიზიტზეც აღნიშნა ექსპერტმა, უნივერსიტეტში საკადრო ცვლილებების გამო, აქამდე ვერ მოხერხდა, თუმცა ამ ეტაპზე დაწესებულება მზად იყო.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების უმრავლესობა გათვალისწინებული იყო, მაგრამ აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოების შვებულებაში ყოფნის გამო, ჯერ არ დამტკიცებულა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, ვინ მოიაზრებოდნენ დამსაქმებლებად აღნიშნულ სპეციალობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დამსაქმებლები იქნებოდნენ მცირე საწარმოები, საქორწინო სალონები, კურსდამთავრებული თეატრშიც შეიძლებოდა დასაქმებულიყო, რადგან სპეციალობა ერთი დარგის სამ მიმართულებას აერთიანებდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებული იქნებოდა არა მკერავი, არამედ კონსტრუქტორი, რაც საჭირო პროფესია იყო.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა ხელშეკრულებები იყო თუ არა გაფორმებული საწარმოებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მემორანდუმები და ხელშეკრულებები გაფორმებული იყო საწარმოებთან. ასევე, მილენიუმის პროგრამით ახალი დანადგარების შეძენა იგეგმებოდა.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, როგორ იყო გათვალისწინებული საუნივერსიტეტო რესურსები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სასწავლო პროგრამა მოიცავდა კომპიუტერულ გრაფიკას, რისი საშუალებითაც, სტუდენტს შეეძლო შეექმნა მოდელი, ქსოვილის ნიმუში. ასევე გამოიყენებოდა სხვა პროგრამების ნიმუშები. აკადემიური პერსონალიც იყო ჩართული პროფესიულ სწავლებაში.

16. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მევენახე-მეღვინის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
მევენახე-მეღვინე	III	მევენახე-მეღვინის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010164	87

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო შარაბიძემ წარმოადგინა. მან აღნიშნა, რომ სტანდარტი მხოლოდ მესამე საფეხურს ითვალისწინებდა და გაჭირდებოდა მისი გადაკეთება მოდულულ პროგრამად. ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამის ხელმძღვანელებს რეკომენდაცია მიეცათ უფრო სრულყოფილად წარმოაჩინონ საგანმანათლებლო პროგრამის ტექსტში მისაღწევი სწავლის შედეგები, რათა დაინტერესებულ პირებს მხოლოდ პროგრამის წაკითხვის შემდეგ და არა ცალკეული სილაბუსების სწავლის შედეგების გაცნობის შემდეგ, სრული წარმოდგენა შეექმნათ პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებზე;
- სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში მითითებული დაშვების წინაპირობები ასევე ასახული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაშიც.
- სასურველია სასწავლო კურსებში შეფასების კრიტერიუმები გაიწეროს ქულობრივად, ნაცვლად 1-დან 5-მდე ბიჯის სიზუსტით გაწერისა, რათა სტუდენტისთვის უფრო გამჭირვალე იქნეს შეფასების კრიტერიუმები და უზრუნველყოფილ იქნას პროფესიული სტუდენტის ინფორმირებულობა მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და მათი გამოსწორების შესაძლო გზების შესახებ

<u>აღნიშნული რეკომენდაციები (1,2,3) სრულად იქნა გაზიარებული პროგრამის ხელმძღვანელებისა და სასწავლო კურსების ავტორების მხრიდან და ამჟამად წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში გათვალისწინებულია.</u>

- რეკომენდაცია მიეცათ პროგრამის განმხორციელებელ პედაგოგებს მოამზადონ სასწავლო კურსების სილაბუსების თემატიკის გათვალისწინებით სწავლების საფეხურის შესაბამისად ადაპტირებული სალექციო კურსები, რაც უდაოდ გაუიოლებს მესამე საფეხურის სტუდენტებს სწავლის პროცესს.

ექსპერტმა დაამატა, რომ კმაყოფილი იყო ლაბორატორიებით, დამსაქმებლებთან შეხვედრით და კურსდამთავრებულებს არ შეექმნებოდათ პრობლემა დასაქმების მხრივ.

17. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
ინფორმაციული ტექნოლოგი	III	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040153	35

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მანანა ხაჩიძემ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ ეს იყო შემთხვევა, როდესაც გააზრებული იყო ყველა ეტაპი და კარგად იყო გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტიც. მან საბჭოს წევრებს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სწავლების მეთოდებს შორის არ არის ლაბორატორიული მეცადინეობა, რომელიც დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით მეტად ეფექტურია. ამ მეთოდის გამოყენება გააადვილებს სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად მოხდა ამ აზრის გათვალისწინება და სწავლების მეთოდებს დაემატა ლაბორატორიული მეცადინეობა და მოხდება შესაბამისი შინაარსის საკითხებში სწავლების მეთოდების ჩანაცვლება.

- ცოდნის შეფასების კრიტერიუმები მოიცავს წერით და პრაქტიკულ კომპონენტს. პრაქტიკული კომპონენტის აღწერა ბუნდოვანია „სტუდენტს მიეცემა ინფორმაციული ტესტი ან კონკრეტული დავალება წერითი ფორმით, რომელსაც შეასრულებენ კომპიუტერთან".

პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, თუ რა იგულისხმება „კომპიუტერთან შესრულების" ქვეშ. მიეცათ რეკომენდაცია, მოხდეს ამ პროცესის უფრო გარკვეულად აღწერა.

თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა.

დაწესებულების წარმომადგენლები სრულად იზიარებდნენ მიცემულ რეკომენდაციებს.

18. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტყევის (ტყის მჭრელი, ტაქსატორი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
	მეტყევე (ტყის მჭრელი, ტაქსატორი)	III	მეტყევის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010551	50

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო შარაბიძემ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება უკვე ახორციელებდა პროგრამის მეოთხე და მეხუთე საფეხურებს, შესაბამისად, გამოცდილება ჰქონდათ და ამოცანას თავი ადვილად გაართვეს.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო რეკომენდაციები:

- სასურველია სასწავლო კურსებში შეფასებების კრიტერიუმები გაიწეროს ქულობრივად, ნაცვლად 1-დან 5-მდე ბიჯის სიზუსტით გაწერისა, რათა სტუდენტისთვის უფრო გამჭირვალე იქნეს შეფასების კრიტერიუმები და უზრუნველყოფილ იქნას პროფესიული სტუდენტის ინფორმირებულობა მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და მათი გამოსწორების შესაძლო გზების შესახებ

<u>აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელებისა და სასწავლო კურსების ავტორების მხრიდან და ამჟამად წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში გათვალისწინებულია.</u>

- რეკომენდაცია მიეცათ პროგრამის განმხორციელებელ პედაგოგებს მოამზადონ სასწავლო კურსების სილაბუსების თემატიკის გათვალისწინებით სწავლების საფეხურის შესაბამისად ადაპტირებული სალექციო კურსები, რაც გაუიოლებს მესამე საფეხურის სტუდენტებს სწავლის პროცესს.

საბჭოს თავმჯდომარემ - გიორგი კამკამიძემ, იკითხა, რას გულისხმობდა ტაქსატორის სპეციალობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ტაქსატორი ნიშნავდა ტყის აღრიცხვა-შემფასებელს.

საბჭოს წევრმა, მაგდა მაღრაძემ განაცხადა, რომ სილაბუსებში ვერ იპოვა გარემოს დაცვის მიმართლებით რაიმე სასწავლო კურსი და დაინტერესდა, თუ იყო მსგავსი საკითხები გათვალისწინებული პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მეტყევე-ტაქსატორს უსაფრთხოების წესებში ეწერა, რითიც უნდა ეხელმძღვანელა, მაგრამ ტყის დაცვა, როგორც ასეთი, არ მოეთხოვებოდა, თუმცა პროგრამაში გათვალისწინებული იყო გარემოს დამოკიდებულება ტყესთან და სტუდენტი სწავლობდა ტყის მოვლა-გაჯანსაღებას.

საბჭოს სხდომაზე 17:02 საათზე შესვენება გამოცხადდა. სხდომა განახლდა 17:19 საათზე.

თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო კენჭისყრის შედეგები:

- შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5 ; წინააღმდეგი - 0);
- შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);

თამვჯდომარემ ცენტრს მიმართა, 1 წლის განმავლობაში მონიტორინგის ვიზიტის საშუალებით გადამოწმებულიყო არსებული დასკვნის გათვალისწინებით (ინფექციური კონტროლისა და კვლევების დამატების კუთხით).

- შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 3; წინააღმდეგი - 2);
  თავმჯდომარემ ექსპერტს მადლობა გადაუხადა ღრმა ანალიზისთვის და განმარტა, რომ დასკვნა სამივე პუნქტში არსებულ ხარვეზებს მოიცავდა, მთავარი პრობლემა კი იყო აკადემიური რესურსი, რომლის გამოსწორებაც მოკლე დროის განმავლობაში ვერ მოხერხდებოდა. შესაბამისად, ამ კუთხით სამუშაო ჰქონდა დაწესებულებას.
- შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის თეოლოგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მევენახე-მეღვინის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);

- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (**მომხრე -5; წინააღმდეგი - 0**);
- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტყევის (ტყის მჭრელი, ტაქსატორი) მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (**მომხრე -5; წინააღმდეგი - 0**).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
გიორგი კამკამიძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე